# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · შაბათი, 5 ოქტომბერი · 1996 №102 (327) · ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# პერუჯაში — აფხაზეთისთვის!



## პრეზიდენტის სპორტული დღე

— დღეს სპორტული დღე მაქვს — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ხუთშაბათს და მართალიც იყო. ისეც მოხდა, რომ მისი სამუშაო დღის ეს „სპორტული ნაწილი" ორი „ტაიმისგან" შედგებოდა.

პირველი მეტად სასიამოვნო და ჩვეულიც იყო: ქვეყნის ხელმძღვანელს ადრეც არაერთხელ უშუალოდ მიულოცია ჩვენი მოჭადრაკე ქალებისთვის სახელოვანი წარმატებანი და იმ დღესაც ისტუმრა ერევნიდან, მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადიდან გამარჯვებით დაბრუნებულნი. კვლავაც მილოცვა, მადლობა და იმ სამომავლო წარმატებათა სურვება, რომლებიც ასე სჭირდება საქართველოს.

ჭადრაკის მერე კი, საღამოს, ფეხბურთის ჯერი დადგა...

— მამაშვილურად დაგილოცავთ გზას. მოიგებთ თუ სხვა შედეგი იქნება, მთავარია, ღირსეულად ითამაშოთ. მოედნიდან რომ გამოხვალთ, საკუთარი თავით უნდა იყოთ კმაყოფილი — უთხრა საქართველოს პრეზიდენტმა მისი ქვეყნის ნაკრების ფეხბურთელებს.

ედუარდ შევარდნაძე ეროვნული და ახალგაზრდული გუნდების მოთამაშეებს, მწვრთნელებსა და ფეხბურთის ფედერაციის თავკაცებს ხუთშაბათს შეხვდა, მათი იტალიაში გამგზავრების წინა დღეს.

რით იყო ფეხბურთელებთან შეხვედრა მნიშვნელოვანი? ამას, უპრიანია, ქართული ფეხბურთის თავკაცი, ნოდარ ახალკაცის სიტყვებით ვუპასუხოთ, მოთამაშეებს რომ უთხრა:

— რომ დაბერდებით, დღევანდელი დღე განსაკუთრებულ მოგონებად დაგრჩებათ. ფაქტია, საქართველო პირველად მონაწილეობს მსოფლიოს ჩემპიონატში. პირველი მეტოქე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია.

— იქ მოედანზე რომ გახვალთ, გახსოვდეთ, თქვენ აფხაზეთისთვის იბრძვით — თქვა შევარდნაძემ.

კონტექსტიდან მოწყვეტით ეს ფრაზა საშინლად ხმამაღალია. სანამ ამ სიტყვებს იტყოდა, პრეზიდენტმა მოკლედ საქართველოს დღევანდელობაზე ისაუბრა. ბრძანა, რომ ჩვენ უკვე სახელმწიფო ვართ, ყველა ატრიბუტით, მივაღწიეთ სტაბილურობასა და ეკონომიკურ წინსვლის სანაქებო ტემპს, შევდივართ მსოფლიო თანამეგობრობაში, ოღონდ გვაქვს დიდი ტკივილი — აფხაზეთი. ახლა იარაღის საყოველთაო ასხმა აღარაა საჭირო, ქვეყნის პრესტიჟის დამკვიდრება გვჭირდება. ამიტომ, აფხაზეთისთვის ბრძოლა ისაა, ყველა თავის საქმეში რომ ივარგებს.

ფეხბურთელებს ედუარდ შევარდნაძესთან ერთად სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ უმასპინძლეს. ნიკო ლეკიშვილმა ბრძანა, ევროარხებით საერთაშორისო ფეხბურთს თვალს ვადევნებ და ვფიქრობ უცხოელები ბევრად ვერ გვჯობნიან, ამიტომ ნაკრებს ისეთ შედეგს ვუსურვებ, ჩვენ რომ გაგვახაროს, სხვა კი გააკვირვოსო. ზურაბ ჟვანიამ იტალიაში თავგამოჩენილ მოთამაშეებს დეპუტატობა აღუთქვა და ქალაქურ ვარგონზე, აქედან „ბალეშჩიკობასაც" დაპირდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ სხვა ოფიციალური პირნიც, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის მრჩეველი სპორტის საკითხებში ზაზა ინწკირველი.

სტუმარ-გამომსვლელთაგან იმედიანი სიტყვა თქვა „დინამოს" მწვრთნელმა დავით ყიფიანმა:

— იქნებ ბოლოდროინდელმა გამარჯვებებმა გამათამამეს, მაგრამ, ვგონებ, ჩვენები მეტოქეს არცერთ კომპონენტში ჩამოუვარდებიან, შეიძლება ოდნავ გამოცდილებაში. ფეხბურთელებმა მხოლოდ მოგებაზე უნდა იფიქრონ და თამაშში გული და სული ჩააქსოვონ. მე რომ ოცი წლით ახალგაზრდა ვიყო და ამ ბიჭებთან ერთად იტალიაში მივდიოდე, იქ მატჩის წინ, საქართველოს ჰიმნის მოსმენით ბედნიერი ვიქნებოდი. მრავალჯერ მითამაშია საბჭოთა კავშირის ნაკრებში და ის ჰიმნიც მომისმენია, მაგრამ რეაქცია არ მქონია.

მანამდე, ნოდარ ახალკაცის სიტყვა ზოგადიც იყო, ქართული ფეხბურთის დღევანდელი დღის განმმარტავი და კარსმომდგარ თამაშსაც ეხებოდა. მან ბრძანა, რომ გუნდი მაშინ მიაღწევს წარმატებას, როცა მისი ყველა წევრი ბრძოლისა და გამარჯვებისთვისაა მზად. ახალკაცმა საკმაოდ დარწმუნებით განაცხადა, რომ წინა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვენმა ნაკრებმა გამოცდილება შეიძინა, გარკვეული ტრადიციებიც ჩამოუყალიბდა და ახლა, მიუხედავად უძნელესი ჯგუფისა, მიზნად ფინალურ ეტაპზე გასვლას ისახავს.

ალექსანდრე ჩივაძის გამოსვლა მოკლე იყო:

— როდესაც პარიზში კენჭისყრის შემდეგ ჟურნალისტებმა კომენტარი მთხოვეს, ვთქვი, რომ ორგანიზატორთა მადლიერი ვარ, ასეთი ძლიერი მეტოქეები რომ შეგვახვედრა. ვთქვი, რომ ისინი ამით ყველა ღონეს ხმარობენ საქართველოში ფეხბურთის დონის ასამაღლებლად. ევროპას სამი მსოფლიოს ჩემპიონი ჰყავს, ერთი, გერმანია წინა ციკლში შეგვხვდა, დანარჩენ ორს, იტალიასა და ინგლისს კი ახალა ვეთამაშებით. ჩემს თაობას საკუთარი ქვეყნის ნაკრებში ასპარეზობის სიხარული არ განუცდია. ამასწინათ დანიაში, მწვრთნელთა სემინარზე ყოფნისას შევხვდი ინგლისელთა ეროვნული გუნდის ხელმძღვანელს გლენ ჰოდლს. მან გაიხსენა თბილისში სტუმრობა და სსრკ ნაკრების წინააღმდეგ თამაში. მკითხა, ვიგრძენი, მთელი ქალაქი ჩვენ გვიჭერდა მხარს და არა თავის ნაკრებს, რატომ იყო ასეო.

ჩივაძემ გაიხსენა, რომ თბილისის „დინამოს" იტალიურ კლუბებთან დადებითი ბალანსი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ არც იტალიელები არიან უძლეველნი.

კონკრეტულად თამაშის ირგვლივ ეს თქვა, დანარჩენი საუბარი სპორტისა და კერძოდ ფეხბურთის მნიშვნელობას ეხებოდა. საქართველოს პრეზიდენტმა კმაყოფილმა აღნიშნა, რომ ჩვენი ფეხბურთის დონე ამაღლდა, რის დასტურადაც „ტორპედოს" მეტადრე მოსკოვში ძლევა მოიყვანა. მან ბრძანა, რომ საქართველოს თავს დატეხილი ქარიშხლის შემდეგ ფეხბურთის ასეთ სწრაფ აღზევებას არ ელოდა და ახლა დიდ მიზნებსაც შეგვიძლია თვალი ვუსწოროთ.

ნოდარ ახალკაცმა კი ხაზი გაუსვა, რომ ფეხბურთი შემოსავალთანაა დაკავშირებული. თუ ეროვნულ სტადიონზე განათება 700-დან 1200 ლუქსამდე გავზარდეთ, მაშინ ერთი თვის შემდეგ, საქართველო — ინგლისის მატჩის პირდაპირ ტელეტრანსლაციას 30 ქვეყანა მოაწყობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს მოთამაშეებს (მით უფრო, წარმატების შემთხვევაში) მთელს მსოფლიოში გაუვარდებათ სახელი, რაც მათ საბაზრო ფასსაც ასწევს. ახალკაცმა ისაუბრა კლუბების ევროშემოსავლებზე და აღნიშნა, რომ თუ საქართველოს ჩემპიონი გაისად ჩემპიონთა ლიგაში შეაღწევს, მისი სალარო მნიშვნელოვნად გაიზრდება, რაც „სარბიელის" მკითხველთათვის კარგახანია ცნობილია.

**ილია ბაბუნაშვილი**



გუშინ, დილის რვა საათზე, ჩვენი ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები ჩარტერული რეისით თბილისიდან რომში გაფრინდნენ. იქ ჩვენს ეროვნულ გუნდს კახი ცხადაძე, თემურ ქეცბაია, გიორგი ქინქლაძე და მიხეილ ყაველაშვილი შეუერთდებიან. იტალიის დედაქალაქში ქართველთა გზები გაიყრება: დიდები პერუჯას გაეშურებიან და სასტუმრო „ლა-ვილაში" დაბინავდებიან, ახალგაზრდები კი არეცოსკენ აიღებენ გეზს. ნაკრებთა საიტალიო სამზადისზე დაწვრილებით იხილეთ მეორე და მესამე გვერდებზე

## ჩაიშალა...

ჩოგბურთი ფედერაციის ყრილობა ჩაიშალა.

გუშინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში გაიმართა საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ყრილობა.

ყრილობას თავმჯდომარეობდა ფედერაციის პრეზიდენტი მირზა გელაშვილი. სანამ ყრილობა მუშაობას შეუდგებოდა, ბატონმა მირზამ იკითხა, რამდენად უფლებამოსილია ყრილობა, დაიწყოს მუშაობაო, რაზეც უპასუხეს, რომ ყრილობაზე მოწვეული 109 დელეგატიდან ესწრება 78. ასე რომ, ქვორუმი არის და ყრილობა უფლებამოსილია იმუშაოს. შემდეგ ბატონმა მირზამ იკითხა, რამდენად კანონიერია ყრილობის ჩატარება თუ წინა ყრილობა მხოლოდ 8 თვის წინ მოეწყოო. სპორტის საპარლამენტო ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ მანუჩარ მაჩაიძემ მას ასე განუმარტა: „მთავრობის დადგენილებით, ყრილობები სპორტის სახეობაში ჩატარდება ოლიმპიადების წლებში კერძოდ, ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ, რათა ფედერაციების მუშაობა შეჯამდეს ოლიმპიური ციკლის მიხედვით, რაც, ალბათ, წაადგება ქართველი სპორტსმენების უკეთ მომზადებას მომავალი ოლიმპიადისთვის". შემდეგ თავმჯდომარე და ყრილობის დელეგაციები კარგა ხანს ვერ შეთანხმდნენ, როგორ წარმართულიყო ყრილობის მუშაობა, რასაც დარბაზის უკმაყოფილება მოჰყვა. დელეგატები ითხოვდნენ პირველ რიგში დამტკიცებულიყო ყრილობის დროს წესრიგი, მაგრამ კამათი გრძელდებოდა შემდეგ დარბაზიდან მოითხოვეს, რადგან ეს კამათი უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს, ამის მიზეზი კი კრების თავმჯდომარეა, სხვა თავმჯდომარე ავირჩიოთ და მუშაობას შევუდგეთო. ამის დამსწრენი დაეთანხმნენ და კრების თავმჯდომარედ ბატონი ჯანო ბაგრატიონი დაასახელეს. რა თქმა უნდა, არა როგორც სპორტდეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, არამედ როგორც რიგითი დელეგატი. ამ დროს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მირზა გელაშვილმა ყოველგვარი განმარტების გარეშე ყრილობა დატოვა. რადგან პრეზიდენტმა დარბაზი დატოვა, ფედერაციის ანგარიში ვიცე-პრეზიდენტს ვლადიმერ გოგლიძეს სთხოვეს, მან კი უარი განაცხადა. მაშინ ანგარიში ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ ქაცარავამ წარმოადგინა, თუმცა, რაკიღა ანგარიში პრეზიდენტს უნდა გაეკეთებინა, გასაგებია, რომ მოხსენება სრულფასოვანი ვერ გამოვიდა: იქ მხოლოდ წარმატებებზე იყო ლაპარაკი და გაუგებარი რჩებოდა, რატომღაა განხეთქილება ჩოგბურთის სამყაროში. სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ არჩევნების ჯერიც დადგა. მაგრამ ბატონმა ჯანო ბაგრატიომა შეკრებილთ სთხოვა, ასეთ ვითარებაში, როდესაც პრეზიდენტმა დატოვა ყრილობა, კონკრეტულად მისი ანგირიში არ მოსმენილა და არც ის თქმულა, რა არის მისი ყრილობიდან წასვლის მიზეზი, ყრილობის გაგრძელება არაკორექტული და ნაჩქარევია, ამიტომ ყრილობა გადავდოთო. მართალია, დარბაზიდან იყო რეპლიკები, შემდგომშიც ასე იქნებაო, მაგრამ საბოლოოდ მაინც ასე გადაწყდა. ეს აზრი სალი იყო, რადგან, ასე თუ ისე, როგორც უნდა აფასებდნენ პრეზიდენტის საქციელს, დელეგატებს უკმარისობის გრძნობა, ალბათ, მაინც დარჩებოდათ. მით უმეტეს, რომ ფედერაციის საქმიანობის შეფასებისას არ ჩანდა კონფლიქტის შინაგანი მიზეზები, რომელთა შესახებ დაპირისპირებული მხარეებს არაფერი უთქვამთ.

გადაწყდა: ყრილობა 13 ოქტომბერს გაიმართოს.

**კოტე მგალობლიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არ უნდა შევრცხვეთ

3 ოქტომბერს დილმის საწვრთნელ ბაზაზე საკმაო ხალხმრავლობა და ჩოჩქოლი იყო. სწორედ იქ შეიკრიბნენ ორივე ნაკრების მოთამაშეები. ამას ისიც დაერთო, რომ თვრამეტწლამდელთა ნაკრებიც დილომში გადის შეკრებას. მოკლედ, ვის არ ნახავდით გუშინწინ დიღომში, გამოცდილ და სახელიან მოთამაშეებსაც და ჯერაც უცნობ, დაუღვინებელ ახალბედებსაც.

პირველებმა ახალგაზრდებმა ივარჯიშეს. ოთხის ნახევარზე გუცაევმა 14 მოთამაშე ჩამწკრივა და ჯერ საკმაო ხანს ესაუბრა. მათ ყურადღებით უსმინეს დამრიგებელს, რომელმაც მალე თოთხმეტივე ვლადიმერ პანოვს გადაულოცა. პანოვმაც მათი საფუძვლიანი „დამუშავება" დაიწყო, ფეხბურთელებს არცერთი კუნთი არ დარჩენიათ გაუხურებელი. მოედანზე 14 მოთამაშე იმიტომ იყო, რომ ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა გიორგი დემეტრაძეს და დავით მუჯირს ყმაწვილური დაუდევრობა არ აპატია და ვარჯიშზე არ დაუშვა.

— მათ აქვთ საიმისო ნიჭი, მაღალი დონის ფეხბურთი რომ ითამაშონ და პროფესიონალობას აქედანვე უნდა მიეჩვიონ — შეუვალი იყო მწვრთნელი. დათომ და გიორგიმ უჩუმრად ჩაღუნეს თავები, მაგრამ უსაქმოდ არ გაჩერებულან, იქვე დარბაზს მიაშურეს და ინდივიდუალურ წვრთნას შეუდგნენ. ამასობაში პანოვმა თორმეტივე „გამზადებული" ფეხბურთელი მთავარ მწვრთნელს ჩააბარა, ხოლო თავად მეკარეები ასლანაძე და სოლოლაშვილი დაიტოვა. გუცაევმა ფეხბურთელები ორად გაჰყო და მოედნის მცირე მონაკვეთზე ერთშეხებიანი პრესინგი გაახურებინა. ბურთაობაში თავად გუცაევმაც მიიღო მონაწილეობა და როგორც მის მაღალ კლასს შეეფერებოდა, არც ერთ გადაცემაში არ შემცდარა.

სრულ ოთხ საათზე სავარჯიშოდ ეროვნულ ნაკრებს ალექსანდრე ჩივაძე გამოუძღვა. თბილისში ჩამომსვლელ ლეგიონერთაგან მხოლოდ გოჩა გოგრიჭიანი არ ჩანდა. როგორც ნაკრების ტექნიკურმა დირექტორმა რამაზ შენგელიამ გვითხრა, გოჩა გუნდს ცოტა მოგვიანებით შემოუერთდებაო. ვარჯიშის წინ ჩივაძეც ესაუბრა ფეხბურთელებს. არ გამოსულა სავარჯიშოდ მურთაზ შელია, რომელსაც 2 ოქტომბერს რუსეთის ჩემპიონატში ჩატარებული პრინციპული და ძნელი შეხვედრის შემდეგ დასვენების უფლება მიეცა. მოთელვა თორმეტმა ფეხბურთელმა დაიწყო. ზოიძე, ტოგონიძე, ლობჟანიძე, მაჭავარიანი, კობიაშვილი, კუდინოვი, გოგიჩაიშვილი, რეზო არველაძე, ცქიტიშვილი, ნემსაძე, მიხეილ ჯიშკარიანი და ინალიშვილი საკმაოდ კარგ ხასიათზე იდგნენ. გოჩა ჯამარაული სავარჯიშო ფორმაში კი გამოწყობილიყო, მაგრამ ნაკრების ექიმებთან საუბრობდა. თავიდანვე ცუდად გვენიშნა ყოველივე, თანაც ჯამარაულის თვალებში ნაღველი შევნიშნეთ. სულ რაღაც ორიოდ წუთში გოჩა გასახდელისკენ გაეშურა და იქიდან მალე სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი დაბრუნდა. ამასობაში ხმაც დაირხა, ჯამარაული იტალიაში ვერ მიდისო. ჩვენც უმალ ნაკრების ექიმებს მივაშურეთ. დიმა ზაალიშვილმა ეს გვითხრა:

— ხომ გახსოვთ „დინამო" — „ტორპედოს" მატჩის ის ეპიზოდი, რუსი გოჩას ფეხებში რომ ეძგერა და მოედნიდან საკაცით გამოგვაყვანინა. თავიდან ტრავმა სერიოზული არავის ეგონა, მაგრამ ახლა ჯამარას რენტგენის სურათი გადავუღეთ, სადაც თვალნათლივ გამოჩნდა დაზიანება. გოჩას ტერფის ძვალი აქვს ატკეჩილი. მკურნალობას სულ ცოტა 10 დღე დასჭირდება. რა თქმა უნდა, შეიძლება ჯამარამ ნემსები გაიკეთოს და იტალიაში ითამაშოს, მაგრამ, გვერწმუნეთ, მინდორზე ნამდვილი ჯამარაული ვერ იქნება, მტკივან ფეხს ნორმალურად ვერ იხმარს და ამ დაძალებამ შეიძლება „ბოავიშტასთან" საშინაო თამაშიც გამოატოვებინოს...

აი, თურმე რატომ გამოჩენილა ნაწვევ 18 ფეხბურთელში გელა ინალიშვილი. წესით და რიგით გელა თითქოს თბილისში უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელობამ რომ ნახა, საშველი აღარ არისო, ჯამარაულის სანაცვლოდ ბაზაზე ინალიშვილი იხმო სასწრაფოდ ბაზაზე. როგორც კი იქ მყოფმა მრავალმა ცნობისმოყვარემ ეს ამბავი გაიგო, იმ წუთიდან ტორპედოელ მახმუტოვს ცოცხალმკვდრის „ლოცვა-კურთხევა" არ მოჰკლებია.

ამასობაში ეროვნულმა გუნდმა მოთელვა დაასრულა. მინდვრის მოთამაშეები ჩივაძემ იგდო ხელთ და კვადრატი გაახურებინა, ხოლო ზოიძეს და ტოგონიძეს გაბელიამ გაუშრო სისხლი. დროგამოშვებით ჩივაძე თითო-თითოდ ფეხბურთელებს თამაზ კოსტავას ჩააბარებდა ხოლმე და ისიც სიქის გაცლამდე მთელს მოედანზე არბენინებდა 100-მეტრიან „კროსებს". ამის შემდეგ ორივე გუნდმა ნახევარ-ნახევარ მინდორზე ორმხრივი თამაშიც გააჩაღა, მერე მეკარეებსაც ბლომად დაუშინეს კარში და საათნახევრიანი ვარჯიშიც ამოიწურა. წვრთნის დამთავრების შემდეგ **ალექსანდრე ჩივაძეს** შეფიქრიანებული გამომეტყველება ჰქონდა:

— ტრავმები ადრევე დაგვბედა და აღარ გვშორდება. სწორედ ამის გამო გამოგვაკლდნენ რევიშვილი და შოთა არველაძე, ახლა კი მოულოდნელად ჯამარაულიც, რაც ძალიან გულდასაწყვეტია. ჩვენ მისი გამოჯანმრთელების იმედი ბოლო მომენტამდე გვქონდა, მაგრამ ფაქტს ვეღარსად წავუვალთ. ასეთი ფეხით გოჩა იტალიაში ვერ წამოვა. მიუხედავად მომხდარისა, იტალიელებს მაინც ბრძოლას გავუმართავთ, ჩვენსას ვეცდებით.

ორივე ნაკრების ხელმძღვანელები ოფლში იყვნენ გახვითქულნი. არც იყო გასაკვირი, მწვრთნელებმა ვარჯიშისას ფეხბურთელებზე ნაკლები როდი ირბინეს, მაგრამ განსაკუთრებით ნაჯაფარნი თამაზ კოსტავა და ოთარ გაბელია ჩანდნენ.

ბოლოს ფეხბურთელებში გავერიეთ, რათა თამაშის წინ მათი განწყობა შეგვეტყო. უიმედოდ არცერთი გამოიყურება. პასუხი კი ყველასი ერთნაირია: „ძლიერი მეტოქეა, ეს უდაოა, მაგრამ თამაში ყველასთან შეიძლება. იტალიელებიც ხომ ადამიანები არიან, ასე რომ, შეიძლება ისინიც შეცდნენ. მთელი 90 წუთის მანძილზე შევებრძოლებით და საბოლოოდ რა გამოვა, 9 ოქტომბერს გამოჩნდება. ესაა სამწუხარო: შოთას და ზაზას ტრავმები არ გვყოფნიდა ახლა გოჩასიც არ დაგვმატებოდა".



გიორგი ნემსაძე



ლევან კობიაშვილი

ვარჯიში 17 საათსა და 45 წუთზე დამთავრდა. 18-სა და 30 წუთზე კი ორივე ნაკრები საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს უნდა შეხვედროდა. პრეზიდენტთან შეხვედრა ჩვენს ფეხბურთელებს კარგად აქვთ დაცდილი და ამიტომ უფროს-უმცროსი საკმაოდ ჩქარობდა. ჩვენც, ვისაც მოვასწარით, სახელდახელოდ გავესაუბრეთ...

**დიმიტრი კუდინოვი:** მოსკოვის „ტორპედოსთან" თბილისში მიღებული ტრავმა მთლად სერიოზული ვერ გამოდგა, მაგრამ ფეხი ცოტათი მაინც მაწუხებს. საბოლოოდ ყველაფერი ორ დღეში გაივლის და მერე იტალიელებიც ვნახოთ საქმეში. რატომღაც მგონია, რომ არ უნდა შევრცხვეთ.

**მურთაზ შელია:** გუშინ ძნელი თამაში გვქონდა „როტორთან" და დღეს ამიტომ დავისვენე. თავს ჯანმრთელად ვგრძნობ და საბრძოლველად მზად ვარ.

**— „ალანიას" გუშინდელმა მოგებამ ჩემპიონობის შანსი დაგიბრუნათ, მაგრამ...**

— ვლადიკავკაზში სიტყვა „მაგრამ" არავის სურს მოისმინოს. იქ „ალანიას" ჩემპიონობას ითხოვენ. ერთად-ერთი ძნელი გასვლა დაგვრჩა მოსკოვის ცესკასთან და რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა მოვიგოთ. ამის მერე ალბათ მიზანსაც მივაღწევთ.

**— ჩემპიონთა თასზეც და უეფასაზეც განცდილმა მარცხმა ხელმძღვანელები ხომ არ გაგინაწყენათ?**

— უფროსობამ იცის, რომ ეს მარცხი ისეთ დროს მოგვივიდა, როცა გუნდს აშკარად ჩავარდნა ჰქონდა, მაგრამ კრიზისი დაძლეულია და ახალი მიზნები გვამოძრავებს. „ალანიას" ხელმძღვანელები გვერდში რომ უდგანან, ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ კლუბის ფონდში სულ ახლახან დამატებით 17 მილიარდი მანეთი გადაირიცხა.

**— „ალანია" თავის თავს რაღაცას მოუხერხებს. შენ ის გვითხარი, იტალიაში რას ვიზამთ?**

— ვიბრძოლებთ. დანარჩენს უშუალოდ თამაში გამოაჩენს.

**— ევროპაში სათამაშოდ წასვლას არ აპირებ?**

— მაგაზე სეზონის მერე ვისაუბროთ. ისე, იქაური გულშემატკივრების მოთხოვნა ასეთია — ყველა გაყიდეთ ვინც გსურთ, ოღონდ შელია არაო.

დილმის ბაზაც ნელ-ნელა დაცარიელდა. ჩვენც წამოსვლას ვაპირებდით, მაგრამ შორიახლოს მოსაუბრე დავით ყიფიანს და გოჩა ჯამარაულს ვკიდეთ თვალი. ბედი ნამდვილად არ მაქვს, დათარსული ვარ — უხსნიდა ჯამარული — იტალიაში თამაში კი არა, „ბოავიშტასთან" გასვლაც საკითხავი გამიხდა... ამ ამბავმა „დინამოს" მთავარ მწვრთნელს, რომელიც ბაზაზე ცოტა ხნის წინ მოსულიყო, ახალი საფიქრალი გაუჩინა. ყიფიანმა რენტგენის სურათი ყურადღებით დაათვალიერა, მერე მანქანაში ჩაჯდა, გოჩას ანიშნა, შენც უკან გამომყევიო და ორივენი ბაზიდან გავიდნენ. ალბათ ყველაფრის საფუძვლიანად გასარკვევად. რაც უნდა იმარჩიელო, ერთი რამ ცხადია — იქნებ სჯობდა, ჯამარაულის ტრავმას მაშინვე ჩასძიებოდნენ, ახლა ხდება სარბენი და თავში საცემი. მკურნალობა დროულად რომ დაწყებულიყო, საიტალიოდ თუ არა, 15 ოქტომბრისთვის ხომ მზად იქნებოდა ჯამარა. ძნელი გასახსენებელია, ეროვნულმა გუნდმა სრული შემადგენლობით როდის ითამაშა, ტრავმები აჩრდილივით დაგვდევს. მოწინაამდეგედ იტალია მაინც არ გველოდეს. თუმცა, უბრძოლველად ვისთან იხეირებ და ჩვენც ლოდინის გარდა რა დაგვრჩენია. ჩვენები იმედიანები გაემგზავრნენ, ყველას კარგად აქვს გათავისებული, რა მეტოქეც დაგვხვდება, ჰოდა, იქნებ...

მამუკა კვანტალიანი
ბადრი კეთილაძის ფოტოები



გიორგი ნემსაძე, რეზო არველაძე, მიხეილ ჯიშკარიანი და თამაზ კოსტავა

# მიხეილ ჯიშკარიანი: ძალიან გამიხარდა ნაკრებში გამოძახება



**კარგა ხანია, მიშა ჯიშკარიანი ნაკრებში არ გამოჩენილა, მის შესახებ მხოლოდ „სპორტ-ექსპრესიდან" თუ შევიტყობდით რამეს. ბოლოსწინა ტურში მიშამ ბრწყინვალედ ითამაშა ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივის" წინააღმდეგ და სამიდან ორი გოლიც გაიტანა, ბოლო ტურში კი მისმა „კამაზმა" შინ 1:2 წააგო „სპარტაკთან".**

— ამ მატჩში მე არ მიმიღია მონაწილეობა, რადგან წინა ტურში გაფრთხილება ავიკიდე: — მეტოქე ხელით დავიჭირე. „კამაზი" რომ „სპარტაკს" ეთამაშებოდა, მე თვითმფრინავში ვიჯექი და შინისკენ მოვიჩქაროდი, ძალიან გამიხარდა ნაკრებში გამოძახება.

**— შენი ძველი სენი — ტყუილუბრალოდ გაფრთხილებების მიღება, ეტყობა, ვერ მოიშალე. მერამდენე ყვითელი ბარათია ამ ჩემპიონატში?**

— ეს რიგით მეოთხე იყო...

**— გოლი რამდენი გაიტანე?**

— წელს — ექვსი.

**— რა არის ასეთი დაბალი შედეგიანობის მიზეზი?**

— „კამაზი" ძალზე სუსტი გუნდია, თავდასხმაში დამხმარე არავინ მყავს. ჩვენი კაპიტნის ევდოკიმოვის გარდა, ნახევარდაცვაშიც არაა ხეირიანი ფეხბურთელი, პასი რომ მომცეს, ჰოდა, მარტო მიხდება შეტევაში თამაში. ან არა და უკან უნდა ჩავიდე, ბურთი წამოიღო, მთელ დაცვას გასცდე და გოლი გაიტანო. რუსეთში კი, თავადაც მოგეხსენება, ამას არავინ გაგაკეთებინებს.

**— „კამაზში" სეზონი გაბისკირიამ და ჰედიამაც დაიწყეს და არც თუ ცუდი პრესა ჰქონდათ, მაგრამ ბოლოს გუნდს ისევ შენ შემორჩი. რატომ წამოვიდნენ ჩვენები?**

— იურას და სოსოს კონფლიქტი მოუვიდათ გუნდის ხელმძღვანელობასთან, არადა, მართლები იყვნენ — შეპირებული თანხა არ მისცეს და ბოლოსდაბოლოს ორივენი წამოვიდნენ. ისე, მართლაც კარგად თამაშობდნენ, ისინი რომ ყოფილიყვნენ, გათამაშების ცხრილში ასე ქვემოთ არ ვიქნებოდით.

**— სეზონის წინ რა დაგეგმა გუნდის ხელმძღვანელობამ?**

— ინტერტოტოს თასის საგზურის მოპოვება, მაგრამ რაღ გინდა, ახლა უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის ვიბრძვით. ამის გამო ბოლო წლებში გუნდის უცვლელი მთავარი მწვრთნელი ვალერი ჩეტვერიკი გადადგა თანამდებობიდან და ახლა დროებით მისი თანაშემწე ბუტალი გვწვრთნის.

**— „კამაზთან" რამდენწლიანი კონტრაქტი გაქვს?**

— კონტრაქტი წლის ბოლოს მითავდება და თავისუფალი აგენტი ვხდები.

**— სად აპირებთ კარიერის გაგრძელებას?**

— თუ კი „კამაზი" უმაღლესი ლიგიდან არ გავარდება, მაშინ კიდევ ერთი წლით ამ კლუბში დარჩენაზე ვიფიქრებ, თუ არა და — უეჭველად დავტოვებ ნაბერეჟნიე ჩელნის.

**— სხვა კლუბებიდან თუ გაქვს მიწვევები?**

— ჯერჯერობით პირადად არავინ დამლაპარაკებია, მაგრამ გავიგე, რომ ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცს" ვდომებივარ, სოჭის „ჟემჩუჟინასაც", მე კი ასეთ გუნდებში გადამსვლელი არა ვარ, მინდა, ბოლოს და ბოლოს ნორმალურ გუნდში ვითამაშო, რომელსაც მაღალი მიზნები ექნება დასახული. არც უცხოეთის დაბალ ლიგაში გადავალ.

**— ტრვმებს ხომ არ შეუწუხებიხარ წელს?**

— მუხლის მყესების დაჭიმვამ ორი მატჩი გამომატოვებინა, მადლობა ღმერთს, ახლა აღარ მაწუხებს.

**— მხარში რომ ლითონის ხრახნებით გქონდა ძვლები შეკრული, კვლავაც დაატარებ ამ რკინებს?**

— რა ხანია, ამომიღეს, ძვლებიც კარგად შემეზარდა.

**— წელს ინტერტოტოს თასზე ფოთის „კოლხეთის" მძლეველმა „გინგამმა" გამოგ[illegible]გდოთ...**

— ეგ კი მართლაც დიდი უიღბლობა იყო. შინ „გინგამს" 2:0 მოვუგეთ, საფრანგეთშიც მხოლოდ 85-ე წუთზე გაგვიტანეს მეორე გოლი, დამატებითში კი გულგატეხილებმა დავთმეთ ორთაბრძოლა. მართლაც დასანანი მარცხი იყო, ვინ იცის, შემდეგ წრეში გასვლა გუნდზე როგორ იმოქმედებდა...

**— მოდი, იტალიურ თემაზე შევეკითხები...**

— კარგა ხანია, ნაკრებში არ ვყოფილვარ, მაგრამ ვგრძნობ, რომ ჩვენს გუნდს ყველასთან შესწევს ბრძოლის უნარი, გინდ იტალია იყოს, გინდაც სხვა. დარწმუნებული ვარ, ყველანი ასე ფიქრობენ, ასე რომ, დაძაბული ბრძოლა იქნება...

მამუკა კვარაცხელია



ახალგაზრდებიც დილომში ემზადებოდნენ: დავით დავითნიძე და ალექსანდრე იაშვილი

# გუცაევის დებიუტი

იტალიასთან შესახვედრად ჩვენი ახალგაზრდული ნაკრებიც ემზადება. მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა 16 მოთამაშეს უხმო. მეკარეები: რამაზ სოლოლაშვილი („დილა“), დავით ასლანიძე („კახეთი“), წინა ხაზის მოთამაშეები: კახა კალაძე, გიორგი კოკნაძე, გიორგი დემეტრაძე, დავით მუჯირი, ალექსანდრე იაშვილი („დინამო“), შალვა ხუჯაძე, გოგა გახოკიძე („კოლხეთი“), დათო დავითნიძე („დინამო-2“), დიმა ვერემჩუკი („შევარდენი-თსუ“), ლევან ქებაძე („მარგვეთი“), მიხეილ აშვეთია („ტორპედო“), მიხეილ ფოცხვერია („შახტიორი“ დონეცკი), ზაზა ზირაქიშვილი („გორდა“), გიორგი ლომიძე („დილა“).

როგორც ხედავთ, ნაკრები ათი გუნდით არის წარმოდგენილი. ხუთი ფეხბურთელი თბილისის „დინამოელია“, ერთი–ლეგიონერი. თუმცა მიხეილ ფოცხვერიას ლეგიონერად მხოლოდ პირობითად თუ მოვიხსენიებთ.

ვოვა გუცაევს იტალიისწინა სამზადისზე ვესაუბრეთ. პირველ რიგში იმაზე გავამახვილეთ ყურადღება, რომ ნაკრებში ბევრი ახალი გვარია.

— გვარამაძეს ოთხი დღის წინ ვარჯიშზე მენისკი გაუმიზეზდა და მის ნაცვლად ასლანიძეს მოვუხმე. იგი დიდხანს უგუნდოდ იყო დარჩენილი, მაგრამ ბოლოს „კახეთში“ გადავიდა და ახლა სტაბილურად, კარგად თამაშობს. დავითნიძე უკრაინაშიც გვახლდა და მჯერა, რომ მას საკმაო ნიჭი და პოტენცია გააჩნია. ახალია ვერემჩუკი. ახალი გვარების გამოჩენა იმით არის გამოწვეული, რომ პირველ ნაკრებში გამოიძახეს კობიაშვილი და ცქიტიშვილი. გარდა ამისა, საკონტროლო შეხვედრებში მრავალი მოთამაშე გამოვცადეთ. ზოგი მათგანი ჩვენს სტანდარტებს, სათამაშო სქემას არ შეესაბამება. ვფიქრობ, ამ 16 მოთამაშის სახით ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი შევარჩიე ჩემი ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

**— ვინმე ხომ არ გამოგრჩენიათ?**

— რა თქმა უნდა, გვარამაძე რომ ჯანმრთელი იყოს, ცქიტიშვილი და კობიაშვილიც ეროვნულ ნაკრებში რომ არ მიეწვიათ, კარგი იქნებოდა, მაგრამ რეალობას ვერსად გაექცევი. ვინც გვყავს, ისინი უნდა გამოვიყენოთ.

**— საკონტროლო შეხვედრებმა ფეხბურთელთა რა ნაკლი გამოაამჟღავნა?**

— გარდა არასაკმარისი ფიზიკური მომზადებისა, მათ ტაქტიკური მომზადებაც აკლიათ. ფეხბურთი ვითარდება, მოთხოვნები ყოველდღე იზრდება და ფეხბურთელიც არ უნდა ჩამორჩეს ამ ტენდენციებს. ჩვენ კი ნაკრებთან მუშაობისთვის ძალზე ცოტა დრო — სულ რაღაც 3-4 დღე გვეძლევა. იმხელა სამუშაოს კი, რაც ნაკრებში უნდა ტარდებოდეს, რამდენიმე დღეში ვერ გასწევ.

ისევ ფიზიკურ მომზადებას დავუბრუნდები, კიევში უკრაინელები თავიდანვე პრესინგით დაგვიპირისპირდნენ მთელს მოედანზე, ჩვენ კი პრესინგს მხოლოდ ჩვენს ნახევარზე ვიყენებდით და, სანამ გავძელით, პირველ 30 წუთში თითქმის თანაბარი ბრძოლა გავუმართეთ მასპინძლებს. მაგრამ მერე ამ ნაკლმა თავი იჩინა, ტაქტიკური სქემა დაიკარგა, სათამაშო დისციპლინა დაირღვა, არადა, წარმატებაზე ფიქრი ამ კომპონენტის გაძლიერების გარეშე წარმოუდგენელია.

**— ლატვიაში წასული ჩალაძე და სილაგაძე რატომ არ მიიწვიეთ?**

— სილაგაძე რუსთაველ მწვრთნელთა რეკომენდაციით გავსინჯეთ, მაგრამ მას სანაკრებო კონდიციებამდე ჯერ კიდევ აკლია. რაც შეეხება ჩალაძეს, ჩვენ იმდენი თავდამსხმელი გვყავს, რომ ახლა მის გამოძახებას აზრი ნამდვილად არა აქვს. თუმცა, მისთვის ნაკრების კარი ღიაა.

– ამის შემდეგ ნაკრების თბილისურ შეკრებაზე პირველად ჩამოსულ მიხეილ ფოცხვერიას გავესაუბრე. მიშას აქამდე მხოლოდ სატელეფონო საუბრებით ვიცნობდი. ძალზე უბრალო და თავდაჭერილი მოსაუბრე აღმოჩნდა. ჯერ „შახტიორის“ ბოლო ტურის შეხვედრაზე ვკითხე.

— ბოლო თამაში ტრავმის გამო გამოვტოვე, წინა სამში კი მხოლოდ შეცვლაზე მიშვებდნენ. ეს მას შემდეგ, რაც კიევში საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ვითამაშე უკრაინის წინააღმდეგ.

**— ჩვენამდე ხმები მოვიდა, თითქოს ამ შეხვედრის შემდეგ „შახტიორის“ ხელმძღვანელობა გულმოსული იყო — ჩვენს წინააღმდეგ როგორ ითამაშო. როგორც ჩანს, ეს მართალია...**

— რა თქმა უნდა, ასეც იქნებოდა. მათი ხურვილიც, უკრაინის ნაკრებში მეთამაშა, გასაგებია. საქართველოს ნაკრები კიევში 2 სექტემბერს უნდა ჩაფრენილიყო. მითხრეს, 29 აგვისტოდან ჩვენთან (უკრაინის ნაკრებთან) ერთად ივარჯიშეო. მაგრამ მე ადრეც მითქვამს, რომ მხოლოდ საქართველოს სახელით ვითამაშებ. ეს აღიზიანებთ. მართალია, პირდაპირ არ მეუბნებიან, მაგრამ აშკარად ვგრძნობ, რომ სწორედ 3 სექტემბრის გამო არ მაყენებს „შახტიორის“ ხელმძღვანელობა ძირითადში.

**— ბათუმში პირველ შეხვედრაზეც ამიტომ არ გამოუშვესო — ესეც მართალია?**

— არა, გაშვებით კი გამომიშვეს, მაგრამ ფეხი ამტკივდა, მთელი ძალით ვერ ვვარჯიშობდი და გადავწყვიტე, რომ აღარ ღირდა შეკრებაზე ჩამოსვლა.

**— ნაკრების წევრებისთვის შენ საკმაოდ უცხო ადამიანი ხარ. როგორ შეეგუე ბიჭებს?**


ბადრი ქეთიშაძის ფოტო

მიხეილ ფოცხვერია

— ძალიან კარგად. ისე თბილად და კეთილმოსურნედ შემხვდნენ, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით.

**— ჩვენების თამაშზე რას იტყვი?**

— აშკარაა, რომ ძალზე ტექნიკურები არიან. შეიძლება, ფიზიკური მომზადება არ ჰყოფნით. ისე, კარგი გუნდია.

**— უკრაინაში როგორ ითამაშეს?**

— შეხვედრის დასაწყისში, სანამ ძალა გვეყო, მწვავე მომენტები ჩვენ უფრო შევქმენით, ვიდრე უკრაინელებმა. მაგრამ მერე ბიჭები დაიღალნენ და თამაშიც გაგვიფუჭდა.

**— უკრაინელები აშკარად იმან გააბრაზა, რომ გოლი გაუტანე...**

— სათადარიგოთა სკამზე მსხდომმა ჩვენმა ბიჭებმა მითხრეს, რომ უკრაინელთა მწვრთნელმა იაშჩენკომ ჩემი გოლის გამო უკმაყოფილება ვერ დაფარა. მაგრამ ეს ვერ შემაჩერებს, მე ჩემიანებს ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დავეხმარო, თუნდაც უკრაინელთა წინააღმდეგ. „შახტიორის“ ბიჭებთან ჩვეულებრივი ურთიერთობა შევინარჩუნე, ხოლო გუნდის ხელმძღვანელობასთან როგორი ურთიერთობაც მაქვს, უკვე გითხარით. მართალია, ჩხუბი და უსიამოვნო ლაპარაკი არ გვქონია, ბუნებით მშვიდი ადამიანი ვარ, მაგრამ მათგან სიცივეს ვგრძნობ.

**— მათი ცივი დამოკიდებულება ხომ არ გაფიქრებინებს, რომ გუნდი შეიცვალო?**

— ჯერ ამაზე არ ვფიქრობ, რადგანაც კონტრაქტის მიხედვით კიდევ წელიწადნახევარი „შახტიორს“ ვეკუთვნი. მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, სხვა რაღა დამრჩენია.

**— ადრე მითხარი, ცსკა, „ტორპედო“ და „ალანია“ მიწვევსო...**

— მოლაპარაკებას ჩემი მენეჯერი აწარმოებს. პირადად მე მონაწილეობას ამაში არ ვიღებ. ჯერჯერობით „შახტიორში“ ვთამაშობ, სხვა გუნდში გადასვლა მომავლის საკითხია.

**— შარშან ზაპოროჟიის „მეტალურგში“ შედეგიანობით გამოირჩეოდი. წელს კი ეს არ ითქმის. არც მანამდე გამოგიჩენია თავი, სანამ მწვრთნელები შემოგწყრებოდნენ...**

— გუნდში რუდაკოვმა მიმიწვია, ახლა კი იქ იარემჩენკოა. რუდაკოვთან სხვა ურთიერთობა მქონდა, თანაც, „შახტიორი“ სულ სხვა სტილის გუნდია, ვიდრე „მეტალურგი“. „მეტალურგი“ უფრო მარტივად თამაშობდა — ნახევარმცველებს ფლანგებიდან ჩაწოდება ევალებოდათ, მე კი დასწრებაზე უნდა მეთამაშა. „შახტიორი“ კი კომბინაციურ სტილს ამჯობინებს — ბურთს ვიჭერთ, ვათამაშებთ. თანაც, დონეცკში თავდასხმაში ნაკლებად მაყენებენ, ძირითადად წინწაწეული ნახევარმცველის, გამთამაშებლის პოზიციაზე მათამაშებენ. ეს, ბუნებრივია, შედეგიანობაზე გავლენას ახდენს.

**— ამ ბოლო დროს ჩიხრაძეზე თითქმის არაფერი გვსმენია. მისი საქმეები როგორღაა?**

— სტაბილურად, კარგად თამაშობს. „ჩიხო“ ჩვეულ მარცხენა ფლანგზე თამაშობს და მის პოზიციაზე სანერვიულო არ გვაქვს, ვიცით, იქ ყველაფერი რიგზე იქნება. საერთოდ, გიორგისთან ყველაზე ახლო ურთიერთობა მაქვს. იგი გუნდში ჩარიცხვის დღიდან მეხმარება და მხარში მიდგას. მას ყველაზე უკეთ ესმის ჩემი.

**მერაბ მამულაშვილი**

## მერანი 2:1 ოდიში

**მერანი:** დოლიძე, ივანიშვილი, არჩვაძე, დ. ჯიშკარიანი (ბახტაძე 75), კაკუბავა, გ. ქორიძე, ზ. კვარაცხელია, ხორხელი, ჭოლოკავა, გოგიბერიშვილი (დავითიშვილი 87), პერტია (ამბაძე 55)

**ოდიში:** ნაყოფია, კვიტატიანი, გუჩუა (აფაქიძე 67), ჭედია, მიქაძე, ზარქუა, ზ. ახვლედიანი (წიტაიშვილი 44), ჯიქია, გაბედავა, ფანცულაია, კალანდაძე

1:0 კვარაცხელია (4), 2:0 ქორიძე (34), 2:1 ჯიქია (89 პ)

**მსაჯი:** თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

თქმა არ უნდოდა, შეხვედრა პრინციპული იქნებოდა — „მერანს“ ბოლოდროინდელი წარმატებების კანონზომიერება უნდა დაემტკიცებინა, „ოდიშს“ კი პირიქით, წარუმატებელი სტარტის შემთხვევითობა. ინტრიგას ისიც ამძაფრებდა, რომ ორივე გუნდი ხუთეულში ადგილს ეცილება ამჟამად ერთმანეთს. ვარაუდი გამართლდა. ერთობ დაძაბული და ხისტი ბრძოლა ვნახეთ. მეტოქეებმა თავიდანვე სიფრთხილე და მჭიდრო თამაში ირჩიეს. მასპინძელთა შემადგენლობას ოპტიმალური ეთქმოდა, ზუგდიდელებს კი აკლდათ ფეხმტკივანი მეკარე მამუკა აბუსერიძე და აკი ის გოლები, მისმა შემცვლელმა ნაყოფიამ რომ გაუშვა, რთული ასაღები არც იყო. შეტევები ზუგდიდელებმა დაიწყეს და უკვე მეორე წუთზე იერიშში ჩართულ მათ ცენტრალურ მცველს ლევან მიქაძეს უფრო ზუსტად რომ დაერტყა თაური, ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ვარაუდებისა რა მოგახსენოთ და მერე ეს იყო: ზუგდიდელთა ამ სახიფათო ჩხვლეტას მასპინძლებმა მალევე მოაყოლეს თავისი — ზუგდიდელთა კარზე იერიში კუთხურით დასრულდა, კაკუბავას ჩაწოდებულს კვარაცხელიამ ისეთი მოზომილი თაური დაუხვედრა, რომ კარიდან ოდნავ წინ გამოსულ ნაყოფიას ეს ოდნავიც არ აპატია — ბურთი ცხრიანში შევარდა და ჯერაც გაუხურებელზე ანგარიში გაიხსნა. ასეთმა დასაწყისმა თავისთავად განაპირობა ის, რაც მერე მოხდა. ზუგდიდელებმა ცდა არ დააკლეს წაგებისგან თავის დახსნას, მასპინძლები კი მშვიდად იცავდნენ თავს მწვავედაც უტევდნენ. მერანელები ორივე ფლანგიდან აქტიურობდნენ, მარცხნიდან პერტია-კაკუბავა, მარჯვენიდან — ივანიშვილი-ჭოლოკავა. ეს უკანასკნელი რომ ბოლომდე ასწრაფდებოდა, მის დამხვდურ ბადრი ახვლედიანს ძლიერ უჭირდა ხოლმე. მალე ივანიშვილმა ბურთიანად რამდენიმე მცველი „გაიარა“ და მარჯვენიდან, მახვილი კუთხიდან განიზრახა ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ოდნავ ააცილა. ზუგდიდელები თავს არ ზოგავდნენო, კი ვთქვით, მაგრამ რეალური საგოლე მომენტი, ფაქტიურად, არ შეუქმნიათ, მასპინძლებმა კი 34-ე წუთზე პირველის ტყუპისცალი გაიტანეს. სხვაობა ის იყო, რომ ამჯერად ჩამწოდებელი ხორხელი იყო, თავის დამრტყელი — ქორიძე. ზუგდიდელთა მეკარე და მცველებიც ამჯერზეც შეცდნენ — 2:0. ასეთი ანგარიში დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდების შეხვედრის ბევრს რომ ნიშნავს, საბოლოო შედეგმაც დაამტკიცა. მეორე ტაიმში ზუგდიდელები უფრო ამოძრავდნენ და მეტი გააზრებითაც ეკვეთდნენ მერანელებს, მაგრამ ერთის გაქვითვაღა შეძლეს, ერთი ხელსაყრელი მომენტიც წიტაიშვილს გაუცუდდა. მერანელები კი კვლავ მწარედ იკბინებოდნენ. 51-ე წუთზე ჭოლოკავამ საჯარიმოს სიახლოვიდან დაარტყა, „ოდიშის“ მცველები კი, მასპინძელთა აზრით, ბურთს ხელით გადაელობნენ. არბიტრმა სხვანაირად განსაჯა. შეხვედრის ბოლო წუთზე მსგავსსავე ვითარებაში კვლავ მოუხდათ პროტესტის გამოთქმა, ოღონდ ამჯერად მათ კარში დანიშნული პენალტის თაობაზე. ჯიქიამ ზუსტად დაარტყა და ანგარიშიც შეამცირა. ეს იყო და ეს, „ოდიშმა“ მეტი ვერ შეძლო, „მერანმა“ კი მორიგ გამარჯვება მიითვალა. საწყენია, რომ ზუგდიდელთაგან ორ კაცს მოედნის უდროოდ დატოვება მოუხდა, პირველ ტაიმში ახვლედიანს, მეორეში ვალტერ გუჩუას. ამ უკანასკნელს, ჭოლოკავასთან შეტაკებისას წარბიც გაუსკდა. ცხვირიც გაუტყდა და ტვინის შერყევაც მიიღო. გუჩუა მოედნიდან პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს.

შეხვედრის შემდეგ მურთაზ ხურცილავამ კომენტარისაგან თავი შეიკავა, მის თბილისელ კოლეგას თემურ მახარაძეს კი ეს ვკითხეთ: გამარჯვების მიუხედავად, „მერანს“ ჩვეული სიხალისე არ ეტყობოდა, ხომ რა გადაიღალნენ ფეხბურთელები, ჩავარდნის პერიოდი ხომ არ დაგიდგათ?

— ყველა გუნდს უდგება მსგავსი პერიოდი. ვერ ვიტყვი, რომ ჩავარდნა გვქონდეს, მაგრამ მუდამ მაღალ დონეზე თამაშიც ძნელია, ცხადია, დაღლას, და ფსიქოლოგიურ მომენტებსაც უნდა გაეწიოს ანგარიში. მაგრამ ახლა ათდღიანი შესვენება გვაქვს და იმედია, ძალებს აღვიდგენთ.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი
## 10 ტური
მიმოხილვა

წინა ტურმა ისე ჩაიარა, ვერც მიმოხილვა და ვერც სტატისტიკა ვერ გახლეთ. არადა, მე-9 ტურში არაერთი მნიშვნელოვანი რამ მოხდა და მათ გამომწვევ მიზეზებზე საუბარი თუ თავმოწონება, მგონი, ახლაც არ უნდა იყოს ურიგო.

სამმა სტუმარმა მასპინძელთა დაშამათება შეძლო. აქედან „კოლხეთის“ გამარჯვება ქუთაისში, ვწერდით კიდეც, უპრეცედენტო რამ იყო. „კოლხეთი“ მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ლიდერთა შორისაა და „დინამოს“ შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი გუნდია, მაგრამ იმ წლებშიც კი, როცა ქუთაისურ გუნდს ბევრად სჯობდა, „ტორპედოსთან“ სტუმრად არ მოუგია. ახლა ერთბაშად მოიგეს და თანაც ისეთი ანგარიშით, დაჯერება რომ ჭირს. „ტორპედომ“ პირველად სწორედ „კოლხეთის“ მასპინძლობისას წააგო დიდი ანგარიშით.

ამ ტურში ისიც იქცევდა ყურადღებას, რომ სტუმრებმა ამდენ გამარჯვებას მიაღწიეს. ისე კი, დაძაბული და საინტერესო ბრძოლებიც მრავლად იყო და ერთი ამოსუნთქვით მოგებულიც.

მე-9 ტურში გოლებიც საკმაოდ გავიდა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ფეხბურთელებმა ერთი ჰეთ-ტრიქისა და 4 დუბლის გაკეთება შეძლეს.

მოკლედ, სანახავი და თვალსასეირო ბლომად იყო, თუმცა ისეთიც გამოერია, დაკვირვებულ თვალს რომ არ გამოეპარებოდა. ერთ-ერთ შეხვედრაში სათადარიგო მსაჯმა შეცვლა ისე განახორციელა, არბიტრს არც გაუგია. ამ უკანასკნელმა ცოტა ხნის შემდეგ იკითხა, შეცვლა აღარ გინდათო? გოლების ავტორთა დადგენისასაც შესცოდეს მსაჯებმა. ამათ ცოცხალი თავით არ სურთ, რომ რიკოშეტი თუ საკუთარ კარში ჩაჭრა ავტოგოლად ჩათვალონ. ეტყობა, მაინცდამაინც ცენტრიდან უნდა წამოიღო ბურთი, მეტოქენიც მოატყუო და თანაგუნდელებიც და ასე გაიტანო საკუთარ კარში რათა ავტოგოლად ჩაგითვალონ.

ჩემპიონატი ახლაღა შედის ეშხში და უკვე მწვრთნელთა ისეთი რაოდენობა დარჩა უმუშევარი, როგორიც ასე მოკლე დროში არავის ახსოვს. შარშანდელი ჩემპიონატის ბოლოდან მოყოლებული 16 თავკაცი შეცვალეს გუნდებმა. რვამ ჩემპიონატის დასაწყისამდე დატოვა გუნდი, შვიდმა კი 9 ტურის განმავლობაში. მწვრთნელთა შეცვლის ტალღამ ისე გადაუარა მთელს ჩემპიონატს, რომ მას მხოლოდ 4 გუნდი გადაურჩა. ამ პროცესმა ზოგან სასიკეთო შედეგი გამოიღო, ზოგან კი პირიქით. ყველა მაგალითის გარჩევა შორს წაგვიყვანს, მაგრამ მათგან ყველაზე იღბლიანი და უიღბლო ცვლილება რომ გამოვყოთ, ეს კი შეიძლება.

მერვე ჩემპიონატის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მოულოდნელობად ყველა „მერანს“ მიიჩნევს. ამ გუნდს, როგორც მთავარი მწვრთნელი, თემურ მახარაძე მხოლოდ წელს ჩაუდგა სათავეში და როგორ ათამაშებს, თავადაც ხედავთ. ურიგო შედეგი არც „მარგვეთის“ თავკაცს აქვს. თანაც ზესტაფონელები, ეტყობა, ნელ-ნელა ლაგდებიან და თამაშს სულ უფრო აუმჯობესებენ. ერთადერთი, ვინც ყველაზე მეტი წარუმატებლობა იწვნია, „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი სოსო ფრუიძეა. ასე განსაჯეთ, იმ გუნდს, რომელიც ფრუიძემ I ჯგუფში დააბრუნა, ჯერჯერობით „ტორპედოზე“ უკეთესი შედეგი აქვს. თუმცა, რაღა უკეთესი,

## ახალი მწვრთნელები — ძველი ხარვეზები

ისიც აუტსაიდერთა შორისაა, მაგრამ „ტორპედო“ სულაც ბოლო აგილზეა! ეს ექვსწლიან ისტორიაშიც პირველი შემთხვევაა და ამ გათამაშების მიმდინარე ცხრილშიც. ფაქტია, ქუთაისელთა წარუმატებლობას მხოლოდ მთავარ მწვთრნელს ვერავინ დააბრალებს. ამის მიზეზები გუნდის დაკომპლექტებისადმი ქალაქის ხელმძღვანელის არასერიოზულ დამოკიდებულებაში უფროა საძიებელი. მაგრამ ეს მთავარი როდია. უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ გუნდს ეშველოს და თამაში გააუმჯობესოს. „ტორპედოს“ ცოტა არ იყოს, უიღბლობაც დასჩემდა, მაგრამ არც მხოლოდ ესაა. ისიც ვიცით, იღბალი, როგორც წესი, ვისაც სწყალობს. მოკლედ, თუ „ტორპედომ“ ასე განაგრძო, გავარდნისგანაც არ იქნება დაზღვეული. 10 თამაშში მას მხოლოდ 7 ქულა აქვს. დარჩენილ ოცში ასეთივე „წარმატებით“ თუ ითამაშა, იმის გათვალისწინებით, რომ წელს 3 გუნდი ვარდება, შესაძლოა, ქუთაისი I ჯგუფში წარმომადგენლის გარეშე დარჩეს.

**ვახტანგ ბზიკაძე**

## სამგურალი 1:0 გურია

**სამგურალი:** ქვიჩხია, ქობულაძე, მანიგაძე, ბელაშვილი, ჯანელიძე, უშვერიძე, ჰყონია (ფესტვენიძე 55), ბუნტური (ქსიაშვილი 66), ბრეგვაძე (ჯაბუა 45), ხურცილავა, ჯანაშია

**გურია:** ვოლკოვი, თ. ლურწკაია, თევზაძე, განევი (ბერიძე 58), ბუცურეიშვილი, ყოლბაია (გვიანიძე 71), ქიქავა, ხოსროშვილი, ო. კორღალიძე, დ. გოდერძიშვილი, ფიცურია (ცერცვაძე 78)

1:0 ხურცილავა (2)

**გაფრთხილება:** განევი, ბუცურეიშვილი, ქობულაძე, ჯაბუა

**მსაჯი:** ე. სილაგავა (თბილისი)

## კოლხეთი 1:1 დილა

**კოლხეთი:** გვასალია, ბულუხია, კაკაჩია, შ. ხუჯაძე, ქობულაძე, ლაღანიძე, ამბაძე, ტორჩინავა, სოლოლაშვილი, გ. დარასელია, გიორგაძე

**დილა:** სოლოლაშვილი, ფეზუაშვილი, ხ. გაგნიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, გ. ლომიძე, მარეხაშვილი, ტაბატაძე, რევაზიშვილი, წკრიალაშვილი, კაიდარაშვილი

1:0 ამბაძე (27), 1:1 ლომიძე (90)

**გაფრთხილება:** ხ. გაგნიძე

**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

## კახეთი 1:0 შევარდენი

**კახეთი:** ასლანაძე, ნონიკაშვილი, ათუაშვილი, კ. წიკლაური, ნაკუდაიძე, შალამბერიძე, გ. ლობჟანიძე, ჯამიაშვილი, შონია (მამისაშვილი 72), ბაბულაიძე (ქვრიტიძე 46), ბოჭორიშვილი

**შევარდენი:** სიდამონიძე, ე. ალადაშვილი (გაგუა 46), ვერემჩუკი, თ. კობიაშვილი, თელიაშვილი, მელქაძე, როსტიაშვილი, კობესაშვილი, კანკავა, ჩუხუა (გიორგი ქორიძე 82), ჩიგოშვილი

0:1 როსტიაშვილი (88)

**გაფრთხილება:** ბოჭორიშვილი, ჩუხუა

**მსაჯი:** მ. კობიაშვილი (დუშეთი)

## ბომბარდირები

| | | თ | პ | გ |
|---|---|---|---|---|
| 1 - გიორგი დემეტრაძე | „დინამო“ | 6 | (2) | 9 |
| 2 - ლევან ქებაძე | „მარგვეთი“ | 9 | (-) | 9 |
| 3 - დავით უჯმაჯურიძე | „ბათუმი“ | 8 | (1) | 8 |
| 4 - ალექსანდრე იაშვილი | „დინამო“ | 4 | (-) | 7 |
| ნუგზარ მიქაბერიძე | „კოლხეთი“ | 9 | (-) | 7 |

## X ტურის სტატისტიკა

| | სულ | | მასპინძლები | | სტუმრები | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ტური | 96-97 | ტური | 96-97 | ტური | 96-97 |
| თამაში | 8 | 77 | 8 | 77 | 8 | 77 |
| მოგება | 7 | 69 | 5 | 56 | 2 | 13 |
| ფრე | 1 | 8 | 1 | 8 | 1 | 8 |
| წაგება | 7 | 69 | 2 | 13 | 5 | 56 |
| გოლი | 26 | 248 | 19 | 189 | 7 | 59 |
| საშუალო შედეგიანობა | 3,25 | 3,22 | 2,38 | 2,45 | 0,87 | 0,77 |
| პენალტი | 2 | 22 | 1 | 15 | 1 | 6 |
| გამოყენებულია | 2 | 21 | 1 | 14 | 1 | 6 |
| რეალიზაცია | 1,0 | 0,95 | 1,0 | 0,93 | 1,0 | 1,0 |
| დიდი ანგარიშით მოგება | 2 | 28 | 2 | 26 | 0 | 2 |
| აგებდნენ და მოიგეს | 1 | 8 | 1 | 6 | 0 | 2 |
| ჰეთ-ტრიქი | 2 | 7 | 2 | 5 | 0 | 2 |
| დუბლი | 1 | 31 | 1 | 26 | 0 | 5 |
| გაფრთხილება | 13 | 126 | 6 | 63 | 7 | 63 |
| გაძევება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

● პირველ, მესამე და მეხუთე სვეტებში მოცემულია ბოლო ტურის ტექნიკური შედეგები

● მეორე, მეოთხე და მეექვსე სვეტებში მოცემულია მიმდინარე ჩემპიონატის ჯამური მაჩვენებლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაურ ჩუბინიძე: რა მოხდა ზესტაფონში

**...როდესაც ვასილ ხაჭაპურიძე მსაჯებთან შედიოდა, ყოველთვის ეუბნებოდა, რაც გვეკუთვნის ის მოგვეცით, არაფერი მინდა ზედმეტიო...**

**...მალტელებთან თამაშის წინ ჩემთან ერთ-ერთი პიროვნება მოვიდა და მისთვის სასურველი ფეხბურთელის დაყენება მომთხოვა. მისივე თქმით, კიკნაძე და გაბრიჭიძე განაცხადშიც არ უნდა შემეყვანა...**



**...მე წინააღმდეგი ვიყავი მწვრთნელ-კონსულტანტად ოთარ გაბელიას მოსვლისა, მაგრამ პრეზიდენტმა მთხოვა, ეს აუცილებლობას წარმოადგენსო...**

**...ჩემი გათავისუფლების შესახებ ჩემთვის არც კი უთქვამთ. მხოლოდ ერთ-ერთი ჩემი მეგობრის პირით შემომითვალეს, ვარჯიში არ ჩაატაროსო...**

ცალსახა აზრი არცერთ მწვრთნელზე არ არსებობს. ამათი მაგინებელი და უკმაყოფილო ყოველთვის მოიძებნება, მაშინაც კი, როცა ამა თუ იმ მწვრთნელის გუნდი თავისი სათამაშო ფორმის პიკზეა.

ისევე მძიმეა გუნდის თავკაცის ტვირთი, როგორც მონომახის ქუდი, რაკიღა მას ერთი დიდი ოჯახის, პატარა სახელმწიფოს მართვა აბარია. მან უნდა დაუამოს ტკივილი ყველას, თავის ქვეშევრდომსაც და მის მაყურებელსაც. იგი თავის გულისცემასავით უნდა გრძნობდეს მთელი გუნდის სულისკვეთებას. მასვე ევალება ოჯახის ახალ წევრთა მოძიება და ძველებთან უმტკივნეულოდ შერწყმა. ამასთანავე უძლურთა უპრობლემოდ დათხოვნაც. ფეხბურთის გუნდი, ისევე, როგორც თავად ფეხბურთი, ყოველთვის ცხოვრების სარკეა. აქ ყველა თვისება ამა თუ იმდროინდელი ცხოვრებისა ერთად იყრის თავს. აქაც მოქმედებს მგლური კანონი: ადამიანი ადამიანისთვის მგელია და ამ „ჯუნგლის" მეფემ არამარტო თავის საქციელზე უნდა აგოს პასუხი, არამედ სხვებისაც აკონტროლოს.

ასეთ პირობებში მწვრთნელებს ძალუმად შეახსენებს თავს მეტად გავრცელებული სენტენციაც — თამაშს ფეხბურთელი იგებს და მწვრთნელი აგებს. და ეს ნებისმიერ შემთხვევაში ხდება, წარმატებული ნაბიჯისას თუ წარუმატებლობისას.

ზემოთქმული რომ მხოლოდ გამოთქმა არ არის, ეს თავის თავზე იწვნია ზესტაფონის „მარგვეთის" მთავარმა მწვრთნელმა ზაურ ჩუბინიძემ, რომელმაც, არც მეტი, არც ნაკლები, „მარგვეთი" პირველ ჯგუფში გადმოიყვანა, მოგვიანებით კი, აგერ სულ ახლახან, კლუბის ისტორიაში უმაღლეს მწვერვალს — მეორე ადგილს მიაღწევინა.

მაშინ, რუსთავში მარგველებმა თავიანთი პრეზიდენტი ისროლეს ცაში, სიხარულის ცრემლმორეული მწვრთნელი კი გასახდელისკენ მიმავალი ბევრმა დაინახა, იქ კი რა მოხდა, აღარავის უხილავს.

გამოხდა ხანი და „მარგვეთმა" მალტაზეც გვასახელა, მაგრამ განმეორებით მატჩში ისეთი რამ შეიმთხვია, რამაც ევროთასებზე ქართული კლუბების წლევანდელ ღირსეულ გამოსვლას ჩრდილი მიაყენა...

ზაურ ჩუბინიძესთან საუბარი მისი რეაბილიტაციის მცდელობაში ნუ ჩამოგვერთმევა, უბრალოდ, ვინ, თუ არა მან უნდა მოგვითხროს „იმ დღეთა" პერიპეტიებზე.

**— „მარგვეთმა" VII ჩემპიონატში მეორე ადგილზე გასვლით პირველად თავის ისტორიაში უეფას თასის საგზური რომ მოიპოვა, აშკარა იყო, გუნდს გაძლიერება სჭირდებოდა. რა გაკეთდა ამისთვის?**

— დავიწყოთ იქიდან, რომ გუნდში მოვიდა მწვრთნელი-კონსულტანტი ოთარ გაბელია, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან იყო მოვლინებული ზესტაფონში. მასთან ერთად რამდენიმე ფეხბურთელიც მოვიდა გასასინჯად. მე კი სურვილი მქონდა, ორი ან სამი ძლიერი მოთამაშე მომეწვია. ერთ-ერთი მათგანი თბილისის „დინამო 2"-ის მცველი გახლდათ და „დინამოს" ძირითადში ვერ ხვდებოდა, ჩვენ კი ძალზე წაგვადგებოდა. მის გარდა რუსთავის „მეტალურგიდან" და ქუთაისის „ტორპედოდან" თითო თავდამსხმელის მოწვევაც მსურდა. რაღაც მიზეზთა გამო, ვერცერთი მოთამაშე ჩვენთან ვერ მოხვდა.

**— რა მიზეზების გამო?**

— მიზეზი ათასნაირი იყო. ყველაზე მთავარი, ალბათ, ფინანსური. თანაც, ჩვენ გვითხრეს, რომ ისინი საზღვარგარეთ იყვნენ წასული გასასინჯად. მე თვითონ დავესწარი რამდენიმე თამაშს თბილისში, რათა ფეხბურთელები შემერჩია. ვინც მომეწონა, ან „ბათუმში" აღმოჩნდა, ან „კოლხეთში". ესენი მართლაც ძლიერი მოთამაშეები იყვნენ, ისეთი, გუნდს ნაღდად რომ სჭირდებოდა. ხოლო ისეთი დონის ფეხბურთელების მოწვევა, ჩვენც რომ გვყავდა, მიზანშეწონილად არ მიმაჩნდა.

ასეთი მოთამაშეები მოვიდნენ გუნდში. ისინი, თუმცა კი პერსპექტიული, მაგრამ გამოუცდელი ბიჭები იყვნენ და ამდენად გუნდი არ გაძლიერებულა. მე დიდი სიამოვნებით შემეძლო მემუშავა მათთან მომავალში, ვინაიდან მჯერა, ისინი კარგ ფეხბურთს ითამაშებენ, მაგრამ მაშინ მათ იმედები ვერ გაამართლეს.

**— თუ თქვენ მიზანშეუწონლად მიგაჩნდათ მათი გუნდში მიწვევა, მაშ როგორღა აღმოჩნდნენ იქ?**

— მოდიოდა გუნდის პრეზიდენტი ვასილ ხაჭაპურიძე და მოჰყავდა ფეხბურთელები. ეს ქუთაისის საწვრთნელ ბაზაზე ხდებოდა, სადაც მზადებას გავდიოდით. მოდიოდა და მეუბნებოდა: აი, ეს ფეხბურთელი „ჭაბუკიანიდანაა", გასინჯეო და ასე შემდეგ. ვისი რეკომენდაციით მოჰყავდა მას ისინი, ჩემთვის უცნობია. მეც უარს ვერ ვეუბნებოდი, საქმეში ვნახულობდი მათ და უკანვე ვისტუმრებდი.

ამათ გარდა ბევრი სხვა ფეხბურთელი ფეხბურთის ფედერაციის მიერ იყო შემოთავაზებული და კიდევ იმ გარეშე, არაკომპეტენტურ პირთა მიერ, რომლებიც ამ საქმეში ერეოდნენ.

ქუთაისში შეკრებაზე რომ გავემგზავრეთ, გუნდის პრეზიდენტმა ასეთი რამ შემომთავაზა: აი, 10-15 ჩამოყვანილი ფეხბურთელი და აირჩიე, რომელიც გამოგვადგება. ჩემთვის გაუგებარი იყო, გუნდი უეფას თასზე გადიოდა სათამაშოდ და იმის ნაცვლად, რომ მოვმზადებულიყავით, შესარჩევ ტურნირებს და ვარჯიშებს ვატარებდით. ამ დროისათვის ხომ გუნდი დაკომპლექტებული და ჩამოყალიბებული უნდა ყოფილიყო? იგივე გაგრძელდა ფოთშიც, ქუთაისის შემდგომ შეკრებაზე. სპეციალური მომზადების მაგივრად საკონტროლო მატჩებში ხან ერთ ფეხბურთელს ვათამაშებდი ამა თუ იმ ადგილზე, ხან მეორეს და ვარკვევდი, ვინ ვისზე ძლიერი იყო. ერთი და იგივე შემადგენლობით ერთხელაც ვერ ვათამაშე გუნდი. გამოდიოდა, ექსპერიმენტებს ვატარებდი...

მაინც დავაკომპლექტეთ გუნდი და, ჩემი აზრით, ნამდვილად ღირსეულნი ავიყვანეთ. მალტაზეც ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ მე სხვა რამეზე მწყდება გული. ჩვენ უფრო მეტი დახმარება და ყურადღება გვჭირდებოდა, ისევე, როგორც ფოთის „კოლხეთს". „ბათუმი" და თბილისის „დინამო" არავითარ დახმარებას არ საჭიროებდა. მაინც, „ბათუმმა" დაიმატა ორი კარგი ფეხბურთელი, „დინამოს" კი საკუთარი ფეხბურთელები დაუბრუნდნენ და ამაში მათ ნამდვილად ვერ შევედავებით. ჩვენ, სწორედ ჩვენ გვჭირდებოდა გაძლიერება, ვინაიდან ყველამ კარგად იცით, რომ ვარსკვლავები და თუნდაც ნაკრების დონის ფეხბურთელები არ გვყავდა.

შემიძლია დავიტრაბახო, და ამას პირველად ვაკეთებ, რომ ამ გუნდმა მეორე ადგილი თავისი მომზადებით აიღო. სინამდვილეში ჩვენ მეორე კი არა, პირველი ადგილი დავიკავეთ, ვინაიდან ამ შემთხვევაში „დინამო" ანგარიშში არ უნდა ითვლებოდეს, ის კონკურსგარეშე უნდა იყოს. მათი პირობები და მომზადების დონე ხომ აღემატება სხვებისას. მთელი სეზონის მანძილზე „დინამო" ერთადერთხელ დამარცხდა და ისიც ჩვენთან. ასე რომ, ნამდვილად დამსახურებულად გავედით მეორეზე.

გადამწყვეტი გამარჯვება კი რუსთავში ნაღდი ბრძოლით მოვიპოვეთ. ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ აღვნიშნო ბატონ რეზო ძოძუაშვილისა და სოსო ფრუიძის გამოსვლათა შესახებ პრესაში. სოსო ფრუიძეს არ ვიცნობ და ამიტომ ვერაფერს ვიტყვი მასზე, ხოლო რაც შეეხება ბატონ რეზოს, რომელთან ერთადაც დავიწყე ფეხბურთის თამაში, მან ძალიან კარგად იცის, როგორი მწვრთნელი ვარ და ისიც იცის, რომ ჩამწყობი მწვრთნელების რიცხვს არ ვეკუთვნი. დამისახელეთ მსაჯი, რომელიც იტყვის, რომ მასთან თამაშის წინ მივედი და დახმარება ვთხოვე. თუ პრეზიდენტი ჰყავს მხედველობში, მასზე პასუხს არ ვაგებ. ერთი კი ვიცი, როდესაც ვასილ ხაჭაპურიძე მსაჯებთან შედიოდა, ყოველთვის ეუბნებოდა, რაც გვეკუთვნის, ის მოგვეცით, არაფერი მინდა ზედმეტიო. ასე რომ, რეზოს ასეთი რამ არ უნდა ეკადრებინა.

**— მოდით, „შლემასთან" პირველ თამაშზე ვთქვათ. მალტაზე გუნდმა სოლიდური ანგარიშით გაიმარჯვა, რაც შემდეგ ეტაპზე გასვლის გარანტიას იძლეოდა. არადა, პირიქით მოხდა. რა არის ამ სამარცხვინო მარცხის მიზეზი?**

— მიზეზი ბევრია, იყო რაღაც-რაღაც შეცდომები. ბევრი შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, ვინ რა შეცდომები დაუშვა, ფეხბურთელებიდან დაწყებული, ხელმძღვანელობით დამთავრებული. ერთი კია, ახალი ფეხბურთელების მოსვლამ გუნდში არეულობა გამოიწვია, თუმცა, საუბედუროდ, ეს ჩვენ გვიან გავიგეთ. ეს არეულობა იმით გამოიხატებოდა, რომ ძველი ფეხბურთელებისგან მესმოდა, ასეთი მეგობრული გუნდი ვიყავით და ახლა რაღაც მოიშალა ჩვენს ურთიერთობაშიო.

**— კი მაგრამ, რა იყო ამ ურთიერთობების მოშლის მიზეზი?**

— ახალი ფეხბურთელების მოსვლა და ხელმძღვანელების არასწორი პოლიტიკა, ფეხბურთელები შიშობდნენ, რომ მათ გუნდიდან გაუშვებდნენ, სანაცვლოდ კი ახლებს მოიყვანდნენ...

არ შემიძლია, რაიმე ცუდი ვთქვა ბატონ ოთარ გაბელიაზე, ეჭვის ქვეშ არ ვაყენებ მისი, როგორც სპეციალისტის დონეს. ჩვენ ძალიან კარგად, მეგობრულად დავიწყეთ მუშაობა, მაგრამ ვინც არ უნდა მოსულიყო გუნდში, ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელიც კი, ამ ეტაპზე მაინც არეულობას გამოიწვევდა, რადგან ამდენი ახალი ფეხბურთელის მიწვევამ გუნდში განხეთქილება შეიტანა. განმეორებითი თამაშის წინ „მარგვეთი" ოთხ ბანაკად იყო დაყოფილი. ჩვენ, მწვრთნელები, ცალკე ვიყავით, ადგილობრივი მოთამაშეები ცალკე, ძველი ჩამოსულები ცალკე და ახალმოსულები ცალკე. სწორედ მაშინ მენიშა, რაღაც უბედურება დატრიალდება-მეთქი. აშკარად იგრძნობოდა განხეთქილება. აღარ იყო ის ერთსულოვნება, რომელიც ადრე გვახასიათებდა. შეიძლება ყველა მიზეზზე ვერ ვილაპარაკო გარკვეული მოსაზრებების გამო, მაგრამ ერთ-ერთი ის იყო, რომ ძველმა ფეხბურთელებმა ისე გაიგეს, თითქოს მათ ნაცვლად სხვათა მოყვანას აპირებდნენ.

**— მათი ეს შიში იქნებ უსაფუძვლო არ იყო...**

— რა თქმა უნდა, იყო ასეთი აზრი — გუნდი კიდევ უფრო გაძლიერებულიყო ახალი ფეხბურთელებით.

**— ასეთ რთულ სიტუაციაში დისციპლინის საქმე როგორღა იყო?**

— იყო ასეთი მოსაზრება, რომ გუნდში დისციპლინა მოიკოჭლებდა, რაც ბატონმა ოთარმა აღნიშნა კიდეც ერთ ინტერვიუში. დისციპლინა რომ აუცილებელია, ამას რა ფიცი-მტკიცი უნდა, თანამედროვე ფეხბურთში ამ თემაზე საუბარი აბსურდად მიმაჩნია. თუ ფეხბურთელი პროფესიონალია, მან უნდა იცოდეს, რომ დისციპლინის დარღვევის გამო დაისჯება, დაისჯება იმით, რომ დაჰკარგავს საარსებო წყაროს. პიროვნული შიშით დისციპლინის დამყარება არ შეიძლება. იმისათვის, რომ გუნდში დისციპლინა იყოს, შესაბამისი ეკონომიკური პირობებია საჭირო. თუ ფეხბურთელს არ ექნება იმის შიში, რომ იგი დაჯარიმდება, არაფერი გამოვა. ჩვენ კი რაიმე ამის მსგავსი პირობები არ გაგვაჩნდა. ფეხბურთელს რომ სამი-ოთხი თვის მანძილზე ხელფასს და პრემიას არ მისცემ, იქ რა დისციპლინა უნდა დაამყარო კაცმა. გასული სეზონის პირველ წრეში ბატონ ვასილ ხაჭაპურიძის მონდომებით შეგვექმნა ნორმალური პირობები მუშაობისთვის, მაგრამ მეორე წრიდან ისევ ძალიან გაგვიჭირდა.

**— რა აზრის იყავით ოთარ გაბელიას მწვრთნელ-კონსულტანტად მიწვევის თაობაზე?**

— როდესაც ვასილ ხაჭაპურიძემ მითხრა, მწვრთნელ-კონსულტანტად ოთარ გაბელიას მოვიწვევთო, თავიდან წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ შემდეგ პრეზიდენტმა მთხოვა, ეს აუცილებელიაო და მეც დავთანხმდი. ბატონ ოთარზე, როგორც მწვრთნელსა და ადამიანზე, კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი. მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ვინც არ უნდა მოსულიყო, ეს მაინც გამოიწვევდა განხეთქილებას. ეს არ იყო დამოკიდებული მის პიროვნებაზე.

**— გამოდის, არ უნდა მოსულიყო?**

— ასეა.

**— ოთარ გაბელიამ ინტერვიუში განაცხადა, რომ მწვრთნელებს არ ჰქონდათ ნორმალური მუშაობის პირობები და რომ მათ საქმეში არაკომპეტენტური პირები ერეოდნენ. მართალია ეს?**

— მართალია! ამას რომ ამბობს, ჩემს გულში ზის. ნამდვილად არ გვქონდა ნორმალური მუშაობის პირობები და საკმაოდ ბევრი არაკომპეტენტური პირიც ერეოდა ჩვენს საქმეში. განსაკუთრებით კი განმეორებითი მატჩის წინ.

**— ოთარ გაბელია თავს იკავებს ამ პირთა დასახელებისგან...**

— მეც ჯერჯერობით თავს შევიკავებ, მაგრამ ალბათ დადგება დრო და ყველაფერს ვიტყვი.

**— მაინც რაში გამოიხატა მათი ჩარევა თქვენს საქმეში?**

— განმეორებითი თამაშის წინ იყო შემთხვევა, როცა ჩემთან მოვიდა ერთი პიროვნება და მითხრა, რომ უნდა მეთამაშებინა მისთვის სასურველი ერთ-ერთი ფეხბურთელი, კიკნაძე და გაბრიჭიძე კი საერთოდ არ უნდა შემეყვანა 16 კაცში. მე ისინი მაინც შევიყვანე განაცხადში.

**— ეს პიროვნება, ალბათ, თავისი ინიციატივით არ მოქმედებდა.**

— შეიძლება ასეც იყო. მაგრამ მე არ ვიცი, ვისი დავალებით მოქმედებდა იგი. ერთი სიტყვით, რაღაც უწესობა რომ ხდებოდა, ამას მეც და ფეხბურთელებიც ვგრძნობდით.

**— ოთარ გაბელიამ თქვა, განმეორებით მატჩში შემადგენლობა არ უნდა შეგვეცვალაო.**

— სავსებით ვეთანხმები. ყველაზე დიდი დანაკლისი კი ჩვენთვის ვეფხია გვენცაძე იყო. დადის ხმები, თითქოს იგი აქეთ გვეხვეწებოდა, მათამაშეთო, ჩვენ კი უარი ვუთხარით. არაფერი ამის მსგავსი. როგორც იცით, იგი პირველ მატჩში დაშავდა. ვკითხეთ, შეეძლო თუ არა თამაში. გვიპასუხა, ექიმმა მითხრა, თუ ითამაშებ და ოდნავ რამე მოგხვდება ნატკენ ადგილზე, საქმე საოპერაციოდ გექნებაო. ასეთ სიტუაციაში მართლები არ ვიქნებოდით, მისთვის თამაში გვეიძულებინა. მისმა არყოფნამ კი ძალიან ცუდად იმოქმედა გუნდის განწყობაზე.

**— განმეორებითი თამაშის წინ გუნდი ოთხ ბანაკად იყო დაყოფილიო, თქვით. თუ შეიძლებოდა ამ სიტუაციის გამოსწორება და რა იღონეთ საამისოდ?**

— ვამშვიდებდი ფეხბურთელებს, ვარწმუნებდი, რომ მათ ნაცვლად არავის მოყვანას არ ვაპირებდით, რომ ეს ჭორებია. ისინი კი, რომ გაგვიშვებენ, თქვენც ჩვენ მოგაყოლებენო.

**— ეს ნაწილობრივ ასეც მოხდა. როგორ ფიქრობთ, რამდენად სამართლიანად?**

— გული მწყდება, რომ ამაგი არ დამიფასდა. ადრეც იგივე მოხდა, „მარგვეთი" პირველ ჯგუფში რომ გადმოვიყვანე. თუმცა, ეს ძველი ამბავია და შევეშვათ.

ჩვენ რომ რუსთავში არ მოგვეგო, მეხუთე ადგილზე გავდიოდით, მაგრამ თითქმის შეუძლებელი შევძელით, მეორე ადგილი დავიკავეთ და უეფას საგზური მოვიპოვეთ, რაც პირველია ზესტაფონის ფეხბურთის ისტორიაში. ჩემი განთავისუფლების შესახებ ჩემთვის არც კი უთქვამთ, მხოლოდ ერთ-ერთი ჩემი მეგობრის პირით შემომითვალეს, ვარჯიში არ ჩაატაროსო. შემდეგ თავად ვნახე პრეზიდენტი და ვკითხე, რაში იყო საქმე. მიპასუხა, შენი ბრალი არ არის, შენთან არავითარი პრეტენზია არა მაქვს, შემიძლია გავაგრძელო შენთან მუშაობა, მაგრამ ასე გადაწყდა საერთო აზრითო. ვისგან შეიქმნა ეს საერთო აზრი და საიდან მოდის იგი, არ ვიცი. ეს ალბათ თვითონ ვასილ ხაჭაპურიძეს ეცოდინება...

**ბესიკ ჯანაშაშაძე**

# მსოფლიოს ხუთი დღე

FRANCE 98

დღეიდან ხუთი დღე მსოფლიოს ჩემპიონატისაა. ევროპის ზოგი ნაკრები ახლა ერთვება შეჯიბრებაში, მაგალითად საქართველო. ჩვენი თამაში იტალიაში ოთხშაბათსაა. ფეხბურთელები უკვე იქ, პერუჯაში არიან და ამ საღამოს, ტელევიზიით, თავიანთი მეტოქის მოლდოველებთან შეხვედრას ნახავენ. ამრიგად, ჩვენი ჯგუფელებიდან დღეს, კიშინიოვში, იტალიელები იწყებენ. მოლდოველებს კი ერთი უკვე ნათამაშები აქვთ, შინ ინგლისთან 0:3 წააგეს. ინგლისი თავის მხრივ, ოთხშაბათს „უემბლიზე" პოლონელებს მასპინძლობს, რომლებიც ქართველებსავით, იმ დღეს პირველ შეხვედრას გამართავენ.

დღეს, მე-7 ჯგუფში, კარდიფის „არმზ პარკზე" უელსი ჰოლანდიას შეებრძოლება. მასპინძელთა მწვრთნელს, ბობი გოლდს ჯერ კიდევ არ გადასწყვეტია „შეფილდ უენსდეის" ნახევარმცველის მარკ პემბრიჯის გამოჯანმრთელების იმედი. მან პემბრიჯი განაცხადშიც ჩართო, რადგან მოთამაშემ შეკრება ისე გაიარა, რომ თითქოს ნატკენ მუხლს თავი არ შეუხსენებია. თუ პემბრიჯი მაინც ვერ ითამაშებს, მის შესაცვლელად ბირმინგემელი ენდი ლეგია მზად.

გოლდს, აგვისტოში სან-მარინოს 6:0 მძლეველ გუნდთან შედარებით განაცხადში ორი ცვლილება აქვს. დისკვალიფიცირებული რაიან გიგზის მაგივრად გარი სპიდია გამოძახებული, დაშავებულ კრის კოულმენს კი კიტ საიმონსი ცვლის. დღევანდელი მატჩის სავარაუდო შემადგენლობა ასეთია: ნევილ საუთჰოლი, მარკ ბოუენი, ენდი მელვილი, კიტ საიმონსი, მარკ პემბრიჯი, ჯონ რობინსონი, მარკუს ბრაუნინგი, ბერი ჰორნი, გარი სპიდი, მარკ ჰიუზი, დინ სონდერსი.

შოტლანდიელები ბალტიისპირეთში არიან. კრეიგ ბრაუნის გუნდი დღეს ლატვიასთან, ოთხშაბათს კი მეზობლად, ესტონეთთან თამაშობს. ბრიტანელებს გორდონ დიური, ალი მაკკოისტი და კევინ გალაჰერი აკლიათ. მათ ნაცვლად ბრაუნმა დუგი ფრიდმენი და ჯონ მაკგინლი წაიყვანა, მაგრამ მწვრთნელი არც ერთს უპირებს სასტარტო შემადგენლობაში გაყვანას და არც მეორეს.

— ძლიერ მოხარული ვარ, რომ ეს მოთამაშეები ნაკრებში არიან. მე ვიცი მათი ნიჭისა და უნარის ამბავი, მაგრამ როცა საქმე სასტარტო შემადგენლობას ეხება, მათ, ვინც რეგულარულად გუნდშია, თავზე ვერავის გადავახტუნებ — თქვა ბრაუნმა.

ბრაუნი ორივე მატჩის მოგებას გეგმავს, რითაც მე-4 ჯგუფში შვედეთთან გაჯიბრების საშუალება მიეცემა.

— ლატვია ჩვენს დამარცხებას შეეცდება, ესტონეთი კი 0:0-ით ან მინიმალური წაგებითაც კმაყოფილი დარჩება — ვარაუდობს მწვრთნელი — ეს გუნდები ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისგან ასე, რომ მათდამი სხვადასხვანაირი მიდგომა გვმართებს. ლატვიასთან უფრო ღია ფეხბურთს ვითამაშებთ, რაც გოლის გატანის შანსს მოგვცემს, მაგრამ ამით გაშვების რისკიც იზრდება.

ავსტრიელების მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა მოთამაშემ ჰერბერტ პროჰაზკამ კი იმავე ჯგუფში, ოთხშაბათს, შვედებთან დიდი ბრძოლის გამართვა აღუთქვა გულშემატკივრებს.

— ვალდებულნი ვართ ამ შეხვედრაში საგანგებო, საუცხოო ფეხბურთი ვაჩვენოთ. მხოლოდ ასე თუ მოვიგებთ, მაგრამ რომც ვერ გავიმარჯვოთ, ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსს მაინც არ ვკარგავთ — თქვა მან.

სტოკჰოლმში პროჰაზკა რვა ლეგიონერის წაყვანას აპირებს. მათ შორისაა დებიუტანტი არნოლდ ვეტლი, „პორტუს" მოთამაშე.

— ვეტლი კარგი ფეხბურთელია, მარცხენა ფრთაზე თამაშობს დაცვაშიც და თავდასხმაშიც — დაახასიათა მწვრთნელმა „შტურმის" ყოფილი წევრი.

დღეს, ავსტრიელთა საწვრთნელ ბანაკს მხოლოდ ანდრეას ჰერცოგი, მარკუს შოპი და ანტონ პოლსტერი აკლია, რომლებიც გერმანიის ჩემპიონატში ტურის მატჩებს ატარებენ და ეროვნულ გუნდს ხვალიდან შეუერთდებიან. ავსტრიელ მოთამაშეთა სრული ჩამონათვალი ასეთია: მიხაელ კონსელი (რაპიდი), ფრანც ვოლფარტი (შტუტგარტი, გერმანია); ვოლფგანგ ფაიერზინგერი (დორტმუნდი, გერმანია), მიხაელ ჰატცი (რეჯანა, იტალია), ანტონ ფეფერი (აუსტრია), ვალტერ კოლერი (ზალცბურგი), პეტერ შიოტელი (რაპიდი), ანდრეას ჰერაფი (რაპიდი); დიტმარ კუეჰბაუერი (რაპიდი), კრისტიან პროსენიკი (რაპიდი), პეტერ შტიოგერი (რაპიდი), ანდრეას ჰერცოგი (ვერდერი, გერმანია), არნოლდ ვეტლი (პორტუ, პორტუგალია), შტეფან მარასეკი (ფრაიბურგი, გერმანია), მარკუს შოპი (ჰამბურგი, გერმანია); ტონი პოლსტერი (კიოლნი, გერმანია), დიტერ რამუში (კაზინო), ჰერფრად საბიტცერი (კაზინო)

რუმინელები ოთხშაბათს რეიკიავიკში ისლანდიელების ძლევას შეეცდებიან. მე-8 ჯგუფის შეხვედრა იონ ლუპესკუს გარეშე ჩაივლის. მან ფეხი მოიტეხა. რუმინელთა მწვრთნელმა ანგელ იორდანესკუმ იგი კორნელიუ პაპურათი შეცვალა. პაპურა ფრანგულ „რენში" გამოდის. გუნდის სრული სია ასეთია: ბოგდან სტელია, ფლორინ პრუნია; დან პეტრესკუ, დანიელ პროდანი, ტიბერიუ კურტი, კორნელიუ პაპურა, ანტონ დობოში, ტიბორ სელიმეში, იულიან ფილიპესკუ; ოვიდიუ საბაუ, გეორ პოპესკუ, კოსტელ გალკა, გეორგ ჰაჯი, დორინელ მუნტიანუ, ილიე დუმიტრესკუ; ადრიან ილიე, ვიორელ მოლდოვანი, იონ ვლადოიუ, რადუ ნიკულესკუ.

## საფრანგეთი

X ტური

**ლე ავრი 0:0 ლანსი**

**ბასტია 0:0 ნანტი**

**რენი 2:0 მონპელიე**

1:0 გივარში (16), 2:0 უარი (69)

**ნიცა 1:0 ნანსი**

1:0 ონორატი (40)

**ოსერი 2:0 მონაკო**

1:0 დიომედი (47), 2:0 პეტი (65 საჯარიმო)

**ლილი 1:0 კაენი**

1:0 ბუტოილი (7)

**მეცი 0:0 კანი**

**ბორდო 1:2 სტრასბური**

1:0 დიავარა (68), 1:1 სუხოპარეკი (86), 1:2 ბატიკლი (90 პ)

**მარსელი 2:1 გინგამი**

1:0 გრაველინი (42), 1:1 კარნო (51), 2:1 ეშუფანი (73)

**ლიონი 1:1 პარი სენ-ჟერმენი**

1:0 გავა (57), 1:1 დელი ვალდესი (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 10 | 6 | 4 | 0 | 15:3 | 22 |
| ბასტია | 10 | 5 | 4 | 1 | 16:9 | 19 |
| ბორდო | 10 | 4 | 5 | 1 | 11:5 | 17 |
| ოსერი | 10 | 4 | 5 | 1 | 10:4 | 17 |
| ლიონი | 10 | 4 | 5 | 1 | 14:9 | 17 |
| მეცი | 10 | 4 | 5 | 1 | 10:6 | 17 |
| მონაკო | 10 | 4 | 4 | 2 | 15:9 | 16 |
| მარსელი | 10 | 4 | 4 | 2 | 12:9 | 16 |
| რენი | 10 | 4 | 3 | 3 | 14:13 | 15 |
| კანი | 10 | 4 | 3 | 3 | 8:8 | 15 |
| ლილი | 10 | 4 | 3 | 3 | 10:13 | 15 |
| ლანსი | 10 | 4 | 2 | 4 | 10:14 | 14 |
| გინგამი | 10 | 3 | 4 | 3 | 9:9 | 13 |
| სტრასბური | 10 | 4 | 1 | 5 | 11:14 | 13 |
| ლე ავრი | 10 | 2 | 3 | 5 | 8:11 | 9 |
| ნიცა | 10 | 2 | 2 | 6 | 9:14 | 8 |
| მონპელიე | 10 | 1 | 5 | 4 | 7:13 | 8 |
| ნანტი | 10 | 0 | 5 | 5 | 10:17 | 5 |
| კაენი | 10 | 0 | 4 | 6 | 5:15 | 4 |
| ნანსი | 10 | 0 | 3 | 7 | 4:13 | 3 |

## ესპანეთი

VI ტური

**რეალი 2:0 ესპანიოლი**

1:0 რაული (6), 2:0 შუკერი (26)

**დეპორტივო 1:1 რაიოვალეკანო**

0:1 გილერმი (66), 1:1 მანხარინი (73)

**ესტრემადურა 1:2 რასინგი**

0:1 კორეა (25), 1:1 ლოპესი (70), 1:2 ბეხჩასტნიხი (85)

**სპორტინგი 1:1 კომპოსტელა**

1:0 სალინასი (12), 1:1 პენევა (90)

**ვალიადოლიდი 1:1 სარაგოსა**

1:0 პეტერნაკი (11), 1:1 პოიეტი (68)

**ბარსელონა 1:1 ტენერიფე**

1:0 პოპესკუ, 1:1 კასტანიო

**სელტა 3:1 ოვიედო**

1:0 გუდელი (16), 2:0 გუდელი (27), 2:1 ალვარესი (47), 3:1 სოლარი (63)

**ბილბაო 1:3 სოსიედადი**

0:1 კრაიოვიანუ (24), 0:2 დე პაულა (31), 1:2 ზიგანდა (36), 1:3 იდიაკესი (82)

**ერკულესი 0:1 ბეტისი**

0:1 ალფონსო (74)

**ვალენსია 0:1 ლოგრონიესი**

0:1 მორალესი (28)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 6 | 4 | 2 | 0 | 11:4 | 14 |
| ბარსელონა | 6 | 4 | 2 | 0 | 16:10 | 14 |
| ბეტისი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:3 | 13 |
| დეპორტივო | 6 | 3 | 3 | 0 | 11:4 | 12 |
| სოსიედადი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:5 | 11 |
| ტენერიფე | 6 | 3 | 1 | 2 | 15:5 | 10 |
| ატლეტიკო | 6 | 3 | 1 | 2 | 9:5 | 10 |
| ლოგრონიესი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7 | 10 |
| რასინგი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:9 | 10 |
| ოვიედო | 6 | 3 | 0 | 3 | 10:10 | 9 |
| ვალიადოლიდი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:4 | 8 |
| სპორტინგი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:11 | 8 |
| ვალეკანო | 6 | 2 | 1 | 3 | 10:7 | 7 |
| ესპანიოლი | 6 | 2 | 1 | 3 | 11:10 | 7 |
| ვალენსია | 6 | 2 | 1 | 3 | 8:7 | 7 |
| სელტა | 6 | 2 | 1 | 3 | 5:9 | 7 |
| ბილბაო | 6 | 2 | 1 | 3 | 8:13 | 7 |
| კომპოსტელა | 6 | 2 | 1 | 3 | 6:13 | 7 |
| სარაგოსა | 6 | 1 | 3 | 2 | 9:12 | 6 |
| სევილია | 6 | 1 | 1 | 4 | 3:6 | 4 |
| ერკულესი | 6 | 1 | 0 | 5 | 2:14 | 3 |
| ესტრემადურა | 6 | 0 | 0 | 6 | 3:17 | 0 |

## ფეხბურთის რუკასთან



უელსის ნაკრების ცნობილმა მოთამაშემ დინ სონდერსმა ახლალა განმარტა, თუ რატომ მიატოვა თურქული კლუბი „გალათასარაი" ორწლიანი კონტრაქტის შუაში. მიზეზი მისი შვილის, ლუიზას ასთმა ყოფილა. სტამბოლში, ზამთარში იაფფასიანი საწვავით თბებიან, რომელიც სპეციფიურ ბოლს უშვებს. ხუთი წლის ლუიზაზე ამ ბოლმა ცუდად იმქომედა და პნეუმონიითა და ბრონქიტით დაავადა. ფეხბურთელმა მამამ შვილი საავადმყოფოში, სასუნთქი ნიღბით რომ იხილა, მყისვე ბრიტანეთს დაბრუნება გადაწყვიტა, თუმც კლუბზე გული სტკიოდა. „გალათასარაის" ხელმძღვანელებმა სონდერსის პრობლემა გულთან მიიტანეს და ფეხბურთელი დაუბრკოლებლად გაუშვეს. დღეს ლუიზა უკეთაა, „ნოტინგემში" გადასული თავდამსხმელი კი, თუმც რვა მატჩში ერთადერთი გოლი გაიტანა, თვლის, რომ თურქეთში თამაშმა და იქაურ პერსონალურ მეურვეობასთან ბრძოლამ კლასი აუმაღლა.



1994 წლის 16 ნოემბერი. საქართველო — უელსი: დინ სონდერსი თბილისის ეროვნულ სტადიონზე

**ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა გუნდში ახალი წესრიგი დაამკვიდრა. მისი განკარგულებით ფეხბურთელებს შეკრებების დროს შაბათ-კვირას სახლში წასვლა და მნიშვნელოვანი თამაშების წინა დღეს პრესასთან ურთიერთობა ეკრძალებათ. ადრე, ტერი ვენეიბლზის დროს ასე არ იყო. ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ ჰოდლს მხარი დაუჭირა და მისი ნაბიჯი მატჩებისთვის სრული კონცენტრაციის სურვილით ახსნა. თავად მწვრთნელმა კი მაგალითად ბრაზილიელი და იტალიელი ფეხბურთელების პატრიოტიზმი და ეროვნული გუნდისადმი დამოკიდებულება მოიყვანა, თუმცა დასძინა, რომ განტვირთვის მიზნით, მოთამაშეებს ორიოდ ჭიქა ვისკის გადაკვრის ნებას დართავს.**

თურქეთის კურორტ ანთალიაში უეფამ აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გამართა. კომიტეტმა საბოლოოდ დაადგინა, რომ გაისიდან ჩემპიონთა ლიგაში გუნდების რაოდენობა ოცდაოთხამდე გაიზრდება და ისინი ოთხ-ოთხად ექვს ჯგუფში განაწილდებიან. ჯგუფების გამარჯვებულები და მეორე ადგილზე გასულთაგან ორი საუკეთესო მეოთხედფინალში გავლენ. უეფამ ერთხელაც დაადასტურა, რომ ამიერიდან თასის გათამაშებაში ყველა ქვეყნის ჩემპიონი მიიღებს მონაწილეობას. მათ დაემატება რეიტინგის მიხედვით რვა უძლიერესი გუნდიც. ამრიგად, ივლისში 32 ჩემპიონი დაწყვილდება, რომელთაგანაც 16 შემდეგ ეტაპზე გავა, რომელიც აგვისტოში გაიმართება. მასში კიდევ 8 ჩემპიონი და რეიტინგის ზემოხსენებული 8 ითამაშებს. ამრიგად გროვდება 32 გუნდი, რომლებიც 16 გამარჯვებულს გაარკვევენ. ეს გამარჯვებულები კი პირდაპირ განთესილ 8 უძლიერესთან ერთად ლიგაში იასპარეზებენ.

**ბრაზილიურ „გუარანის" ერთ წელიწადში მეათე მწვრთნელი, კარლოს ალბერტო სილვა დაუნიშნეს. კლუბის პრეზიდენტია ვინმე ბეტო ზინი, რომელმაც ამასწინათ გააგდო მეცხრე ხელმძღვანელი კარბონე. კარბონემ გუნდი 23-ე ადგილიდან მესამეზე აიყვანა და ათ შეხვედრაში მხოლოდ ორი წააგო. მაინც გააგდეს. მწვრთნელის თქმით, როცა ზინიმ უთხრა თანამდებობიდან განთავისუფლებული ხარო, კინაღამ სკამიდან გადავარდა. კარბონეს გაშვების მიზეზი, ცხადია, პრეზიდენტსაც ჰკითხეს. მან უპასუხა, რომ რესაფეს „სპორტთან" წაგების შემდეგ კარბონე მეტოქე მწვრთნელთან ერთად ლუდის დასალევად წავიდა. გაირკვა ისიც, რომ მატჩების მსვლელობისას ზინი მას მობილური ტელეფონით ურეკავდა და ასე და ისე ქენიო, კარნახობდა. თურმე ბრაზილიაში, სეზონის მანძილზე მწვრთნელის გამოცვლა იშვიათი არაა. პირველობაში მონაწილე 24 გუნდიდან, წლეულს, 11-ს ერთი ხელმძღვანელი მაინც, უკვე გაუშვია. „პარანამ" მარიო ჟულიატო ოცი დღის მუშაობის შემდეგ გააგდო. ყველამ იცის, რომ მალე „ბაიას" თავკაც ფიტუ ნევეშს გააძევებენ.**

ბრაზილიაშივე „ფლუმინენსეს" ასამდე გულშემატკივარმა „ლარანჟეირასის" სტადიონზე რესტორანი და სხვა ოთახები დალეწა. მათ დასაშოშმინებლად ორასამდე პოლიციელი გამოიძახეს. ნგრევის მიზეზი კონმებოლის თასზე (სამხრეთ ამერიკაში უეფას თასის ანალოგია) პარაგვაულ „გუარანისთან" ორი თამაშის ჯამში 3:5 წაგება იყო. ქომაგებმა რომ დაინახეს ჩვენები 1:3-ს აგებენო დაიწყეს ყველაფრის მოსპობა. „ფლუმინენსემ" ანგარიში კი გაათანაბრა, მაგრამ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად არ ეყო. აღსანიშნავია, რომ „ფლუმინენსეს" მხარდამჭერნი ქვების სროლით ცნობილნი არიან. ამის გამო, ერთი თვის წინ, სტადიონზე ფანჯრის მინებს რკინის დამცავებიც კი ააკრეს.

**საფრანგეთის ნაკრებში ყველაზე მეტი თამაში ევროპის 1984 წლის ჩემპიონ მანუელ ამოროს აქვს ჩატარებული. პირველად მან 1982 წელს იტალიის წინააღმდეგ ითამაშა. ის შეხვედრა ფრანგებმა 2:0 მოიგეს. ზუსტად იმ დღეს ამორო 20 წლის გახდა. მას მერე, ათი წლის განმავლობაში მან ოთხმოცდაორჯერ ითამაშა სამფეროვანთა გუნდში. მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებში ერთადერთი გოლი აქვს გატანილი (1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბელგიის კარში), ამორო შეტევის დამხმარე კაცად იყო ცნობილი. როგორც თავად იგონებს, მეტოქის თავდამსხმელებს მრავალჯერ უთქვამთ, რა დროს შეტევაა, ამ კაცის წინააღმდეგ მხოლოდ დაცვაზე გვიწევს ფიქრიო. ამორო ბოლო დრომდე თამაშობდა. 1993 წელს „მარსელიდან" „ლიონში" გადავიდა, საიდანაც 95-ში ისევ „მარსელში" დაბრუნდა. გასულ სეზონში მან მხოლოდ 16 თამაშში მოახერხა მონაწილეობა, შემდეგ კი ართრიტმა იჩინა თავი და ახლა 34 წლისამ ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა. სამი თვის წინაც მას ახალი გუნდი, მექსიკის „პუებლა" იწვევდა.**

ესპანეთის ჩემპიონის, მადრიდის „ატლეტიკოს" ქომაგებს ბილეთის ფასი „ვისენტე კალდერონის" 30 წლის სტადიონზე (ოთხშაბათს შესრულდა აშენებიდან 30 წელი) ისე ეძვირებათ, რომ ტრიბუნებს ველარ ავსებენ. მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელმა რადომირ ანტიჩმა განაცხადა, ჩვენი თამაშის ნახვა ამ ფულად ღირსო, გულშემატკივრებმა გამოფინეს პლაკატები „რწმენა გულშია, ჯიბეში კი არა" და „მ.ა. ხილო, ნაკლები ილაპარაკე და ბილეთებს გააიაფე". მიგელ ანხელ ხილი „ატლეტიკოს" გენერალური დირექტორი, კლუბის პრეზიდენტის ხესუს ხილი ხილის ვაჟია. მან [illegible] ნემენტები, ჩემპიონატის 21 და ჩემპიონთა ლიგის სამ მატჩს რომ მოიცავს, 380 დოლარი [illegible]. ამ ფასში მობილური ტელეფონი და მანქანის [illegible] შედის. ერთი შეხვედრის უიაფესი ბილეთი ასე 23-24 დოლარია. შედარებისთვის: ვალენსიაში აბონემენტი 156 დოლარი ღირს, ბილეთი კი 23.

**ინგლისელი ბობი რობსონი „ბარსელონას" რომ უდგას სათავეში, უკმაყოფილოა. მან თქვა: „ჩვენ სულ რონალდოს იმედით ვერ ვიქნებით, იგი მხოლოდ 20 წლისაა და წამყვანი მოთამაშე ჯერ ვერ იქნება." რობსონის მუშაობა „ბარსას" წინა მწვრთნელმა იოჰან კრუიფმა გააკრიტიკა, მაგრამ ამ კრიტიკას კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ხუან გასპარტმა ასე უპასუხა: „კრუიფს „ბარსელონაზე" ცუდი რომ არ ეთქვა, გამოვიდოდა, რომ ის არ არსებობს."**

ირლანდიაში „უიმბლდონს" რა უნდა? ეს ლონდონური კლუბი ამჟამად პირველი დივიზიონის „კრისტალ პალასთან" ერთად „სელჰარსტ პარკზე" მასპინძლობს მეტოქეებს. კლუბის მეპატრონემ სემ ჰემენმა BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ხმები „უიმბლდონის" დუბლინში გადაბარგების თაობაზე მართალი არაა. მიუხედავად კატეგორიული განცხადებისა, ჰემენმა ვერ უარჰყო, რომ ამ საკითხზე იგი ესაუბრა ირლანდიელ ბიზნესმენს პოლ მაკგინესს, რომელიც იმავდროულად როკ-ჯგუფ U2-ს მენეჯერია.

**გერმანიის თასზე, მეთექვსმეტედფინალში „ბაიერნმა" სტუმრად მოუგო „მიონხენგლადბახს" 2:1.**

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

ახალგაზრდულ ნაკრებები

3 ოქტომბერი

**მოლდოვა 0:3 იტალია**

მოლდოვა: კირილოვი (ჟილიგაილო 52), გალკა, ჩერეში, პლატონი, რუსნაკი, ლუპასკო, ბელანი, ბორსუკი, სიომუ, სკრუპსკი (ბორეტი 73), ბარბადოსი.

იტალია: სარტორი (ლონგო 74), კოკო, ტაკინარდი, ოშადოგანი, რივალტა, ლოკატელი, ამბროზინი, ლუკარელი, ფიორე, კამარატა (ვენტილა 58)

გოლი: ლუკარელი (37, 46, 49)

## ინგლისი

პირველი დივიზიონი

მე-10 ტური. ბრედფორდი — სვინდონი 2:1, ქუინზ პარკი — პორტ ვეილი 1:2, ვულვერჰემპტონი — ბოლტონი 1:2, გრიმსბი — ნორვიჩი 1:4, იფსვიჩი — ბარნსლი 1:1, ოლდემი — ვესტ ბრომვიჩი 1:1, პორტსმუთი — კრისტალ პალასი 2:2, საუთენდი — შეფილდ იუნაიტედი 3:2, ტრანმერი — ოქსფორდი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 10 | 7 | 2 | 1 | 24-13 | 23 |
| ნორვიჩი | 10 | 6 | 3 | 1 | 14-6 | 21 |
| ბარნსლი | 9 | 6 | 1 | 2 | 17-10 | 19 |
| კ. პალასი | 10 | 4 | 5 | 1 | 23-10 | 17 |
| ვულვზი | 10 | 5 | 2 | 3 | 15-11 | 17 |
| ტრანმერი | 10 | 4 | 3 | 3 | 12-10 | 15 |
| სტოკ სიტი | 9 | 4 | 3 | 2 | 14-15 | 15 |
| ოქსფორდი | 10 | 4 | 2 | 4 | 13-8 | 14 |
| იფსვიჩ თაუნი | 10 | 3 | 5 | 2 | 16-13 | 14 |
| შეფილდ იუნ. | 8 | 4 | 1 | 3 | 16-12 | 13 |
| ჰადერსფილდი | 8 | 4 | 1 | 3 | 13-11 | 13 |
| ვესტ ბრომვიჩი | 9 | 3 | 4 | 2 | 13-12 | 13 |
| ქუინზ პარკი | 10 | 3 | 4 | 3 | 12-12 | 13 |
| პორტ ვეილი | 10 | 2 | 6 | 2 | 9-10 | 12 |
| სიტი | 9 | 4 | 0 | 5 | 9-11 | 12 |
| სვინდონი | 10 | 3 | 2 | 5 | 11-13 | 11 |
| პორტსმუტი | 10 | 3 | 2 | 5 | 8-13 | 11 |
| ჩარლტონი | 8 | 3 | 1 | 4 | 7-8 | 10 |
| ბრედფორდი | 10 | 3 | 1 | 6 | 9-16 | 10 |
| ბირმინგემი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-7 | 9 |
| საუთენდი | 10 | 2 | 3 | 5 | 11-22 | 9 |
| გრიმსბი | 10 | 2 | 2 | 6 | 12-23 | 8 |
| რედინგი | 9 | 2 | 1 | 6 | 10-21 | 7 |
| ოლდემი | 10 | 0 | 3 | 7 | 8-17 | 3 |

„ჯორდაში" შემოდის საქართველოში!

JORDACHE ®

## ჭალათბურთი

### ევროლიგა
III ტური. 3 ოქტომბერი

A ჯგუფი

ცსკა (რუსეთი) — ულქერი (თურქეთი) 71:76; მაკაბი (თელ-ავივი, ისრაელი) — სტეფანელი (იტალია) 78:68; პანიონიოსი (საბერძნეთი) — ლიმოჟი (საფრანგეთი) 92:77

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ულქერი** | 3 | 2 | 1 | 230:203 | 5 |
| **მაკაბი** | 3 | 2 | 1 | 224:208 | 5 |
| **სტეფანელი** | 3 | 2 | 1 | 226:219 | 5 |
| **პანიონიოსი** | 3 | 2 | 1 | 233:231 | 5 |
| **ცსკა** | 3 | 1 | 2 | 216:225 | 4 |
| **ლიმოჟი** | 3 | 0 | 3 | 213:246 | 3 |

B ჯგუფი

ციბონა (ხორვატია) — ალბა (გერმანია) 78:68; შარლერუა (ბელგია) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 72:79; ესტუდიანტესი (ესპანეთი) — ტიმსისტემი (იტალია) 66:75

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ციბონა** | 3 | 3 | 0 | 236:207 | 6 |
| **ოლიმპიაკოსი** | 3 | 2 | 1 | 239:219 | 5 |
| **ტიმსისტემი** | 3 | 2 | 1 | 242:240 | 5 |
| **ესტუდიანტესი** | 3 | 1 | 2 | 211:234 | 4 |
| **ალბა** | 3 | 1 | 2 | 213:221 | 4 |
| **შარლერუა** | 3 | 0 | 3 | 223:243 | 3 |

C ჯგუფი

ბაიერი (გერმანია) — კროაცია (ხორვატია) 60:63; ოლიმპია (სლოვენია) — ბარსელონა (ესპანეთი) 77:65; პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ვილერბანი (საფრანგეთი) 66:72

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ოლიმპია** | 3 | 2 | 1 | 230:210 | 5 |
| **ბარსელონა** | 3 | 2 | 1 | 217:200 | 5 |
| **კროაცია** | 3 | 2 | 1 | 201:196 | 5 |
| **ვილერბანი** | 3 | 2 | 1 | 212:205 | 5 |
| **პანათინაიკოსი** | 3 | 1 | 2 | 199:216 | 4 |
| **ბაიერი** | 3 | 0 | 3 | 196:228 | 3 |

D ჯგუფი

ეფეს პილსენი (თურქეთი) — დინამო (რუსეთი) 87:84; პარტიზანი (იუგოსლავია) — ელან ბერნე (საფრანგეთი) 84:75; კინდერი (იტალია) — კახა სან-ფერნანდო (ესპანეთი) 93:75

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ეფესი** | 3 | 2 | 1 | 234:220 | 5 |
| **პარტიზანი** | 3 | 2 | 1 | 227:219 | 5 |
| **კინდერი** | 3 | 2 | 1 | 231:214 | 5 |
| **დინამო** | 3 | 1 | 2 | 218:230 | 4 |
| **ელან ბერნე** | 3 | 1 | 2 | 225:233 | 4 |
| **კახა** | 3 | 1 | 2 | 226:245 | 4 |

### ევროპის თასი
III ტური. 2 ოქტომბერი

C ჯგუფი

ბენფიკა (პორტუგალია) — ჰაპოელ გალილ ელიონი (ისრაელი) 78:64; მტზ (მაკედონია) — ულმი (გერმანია) 92:89

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **რეალი** | 3 | 3 | 0 | 279:203 | 6 |
| **პლევენი** | 3 | 2 | 1 | 286:303 | 5 |
| **ბენფიკა** | 3 | 2 | 1 | 267:256 | 5 |
| **მტზ** | 3 | 1 | 2 | 251:284 | 4 |
| **ულმი** | 3 | 1 | 2 | 262:271 | 4 |
| **ჰაპოელი** | 3 | 0 | 3 | 218:246 | 3 |

D ჯგუფი

ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — პორტუ (პორტუგალია) 87:91; ჰაგენი (გერმანია) — აპოელი (კვიპროსი) 98:83

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **პორტუ** | 3 | 3 | 0 | 267:223 | 6 |
| **ჰაპოელი** | 3 | 2 | 1 | 249:243 | 5 |
| **პსჟ** | 3 | 2 | 1 | 265:201 | 5 |
| **ჰაგენი** | 3 | 1 | 2 | 246:253 | 4 |
| **აპოელი** | 3 | 1 | 2 | 219:264 | 4 |
| **ნიუ ვევი** | 3 | 0 | 3 | 185:247 | 3 |

### კორაჩის თასი
I ტური. 2 ოქტომბერი

A ჯგუფი

ოსიეკი (ხორვატია) — სატექსი (სლოვენია) 79:101; უსკ (ჩეხეთი) — არისი (საბერძნეთი) 88:90

B ჯგუფი

ბეშიქთაში (თურქეთი) — ჰაპოელი (ჰოლონი, ისრაელი) 77:67; კელუში (პორტუგალია) — უნიკაზა (ესპანეთი) 70:83

C ჯგუფი

სამარა (რუსეთი) — ბეობანკა (იუგოსლავია) 58:88; სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) — მონპელიე (საფრანგეთი) 78:65

D ჯგუფი

ბამბერგი (გერმანია) — კასტორსი (ბელგია) 86:80; დენდი-ბასკეტი (უკრაინა) — ოლიმპია (იტალია) 79:77

E ჯგუფი

ტაუგრესი (ესპანეთი) — ტელეკომპი (ხორვატია) 96:60; პეპინსტერი (ბელგია) — ნიკოლ ფერტი (მაკედონია) 80:65

F ჯგუფი

ნანსი (საფრანგეთი) — მეისუ (თურქეთი) 72:50; ინტერიერი (სლოვენია) — ბიპა-მოდა (უკრაინა) 86:71

G ჯგუფი

პერისტერი (საბერძნეთი) — გისენი (გერმანია) 82:63; ზორკა ფარმა (იუგოსლავია) — ლაჰტი (ფინეთი) 94:72

H ჯგუფი

ჰერცლია (ისრაელი) — კაჯივა (იტალია) 84:87; ჩერნო მორე (ბულგარეთი) — მაზოვეანკა (პოლონეთი) 85:91

I ჯგუფი

ზალაეგერსეგი (უნგრეთი) — ბანკა დე რომა (იტალია) 70:83; თოფაში (თურქეთი) — სპარტაკი (იუგოსლავია) 92:71

J ჯგუფი

კალევი (ესტონეთი) — გრანადა (ესპანეთი) 96:69; ბაიროიტი (გერმანია) — ალბაკომპი (უნგრეთი) 72:67

K ჯგუფი

პლანია (შვედეთი) — სპორტინგი (საბერძნეთი) 67:92; ცსკ ვვს (რუსეთი) — ბანიკი (სლოვაკეთი) 98:92

L ჯგუფი

სპარტა (ჩეხეთი) — ლევალუა (საფრანგეთი) 59:72; ბენსტონი (ხორვატია) — მაკაბი (რიშონი, ისრაელი) 83:69

M ჯგუფი

ოვარენშე (პორტუგალია) — ასტრა (შვედეთი) 93:88; პაოკ (საბერძნეთი) — გალათასარაი (თურქეთი) 93:61

N ჯგუფი

ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — კომფორტი (პოლონეთი) 92:64; კასერესი (ესპანეთი) — სპარტაკი (პეტერბურგი, რუსეთი) 94:71

O ჯგუფი

როგასკა დონატი (სლოვენია) — ოლიმპასი (ლიტვა) 69:79; ბენეტონი (იტალია) — ზრინიევაცი (ხორვატია) 115:84

P ჯგუფი

ჰუტჰალენი (ბელგია) — ეშგეირა (პორტუგალია) 94:81; დიჟონი (საფრანგეთი) — ტალი (გერმანია) 80:85

## კარატე

# ქართველების აღარ მიკვირს...

სამიოდ თვის წინ საქართველოს შოტოკან კარატე-დო ფედერაციის პრეზიდენტის კახა ბასილიას მოწვევით საქართველოში იმყოფებოდა მსოფლიოს შოტოკან კარატე-დო ფედერაციის ფუძემდებელი, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, იაპონელი ჰიტოში კასუია.

სახელგანთქმული კარატისტი, სხვა მრავალ ღონისძიებებთან ერთად, მცხეთის რაიონის სოფელ ძალისში გამართულ ქართული ჭიდაობის ტურნირსაც დაესწრო და გაკვირვებული და აღფრთოვანებული დარჩა. „თუნდაც მხოლოდ ის რად ღირს, რომ ამ სოფელში ორი ლეგენდარული ფალავანი — დავით ციმაკურიძე და ვახტანგ ბალავაძე ვნახე. იაპონიაში მათ დღემდე დიდი პატივით იგონებენ" — თქვა მაშინ ბატონმა კასუიამ, რომელმაც საქართველოში მოგზაურობის შესახებ სამხედრო ორთაბრძოლების მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ ჟურნალის „კარატე მეგეზინის" აგვისტოს ნომერში წერილიც დაბეჭდა. კასუია იაპონელ მკითხველს მოუთხრობს საქართველოზე, განსაკუთრებით კი ქართულ ჭიდაობაზე და წერს, რომ ასეთი ტრადიციების შემხედვარეს აღარ უკვირს ქართველი ძიუდოისტების წარმატებები და ის დიდი გამარჯვებები, ქართულმა ტრადიციულმა კარატემ ამ ბოლო ხანს რომ მოიპოვა. წერილის ბოლოს ავტორი გულისტკივილით დასძენს: „ჭიდაობას იაპონიაშიც აღარ აქცევენ ასეთ ყურადღებას... თუ იაპონელი ბავშვების გატაცება ძირითადად კომპიუტერი გახდა, ქართველი ბავშვები დღემდე ერთგულად მისდევენ ფეხბურთსა და ჭიდაობას."

**მახო ძიძნაძე**

## ძიუდო

# ევრო-გუნდურზე მაინც მივდივართ

19-20 ოქტომბერს სანკტ-პეტერბურგში ძიუდოისტთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი გაიმართება. თავდაპირველად, მიზეზთა გამო, საქართველოს ნაკრები არ აპირებდა იქ გამგზავრებას, მაგრამ შემდეგ საქმე ისე წავიდა, რომ ევრო-გუნდურში მონაწილეობას ალბათ მაინც მივიღებთ.

ჩვენმა ძიუდოისტებმა თბილისში, სასტუმრო „პაგრანიჩნიკში" უკვე დაიწყეს შეკრება. ორშაბათიდან იქ მეოფთ შეუერთდებიან გიორგი ვაზაგაშვილი, ვლადიმერ დგებუაძე და დავით ხახალეიშვილი. ივერი ჯიქურაული ამჟამად პორტუგალიაშია მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, დამთავრების შემდეგ კი ისიც გააგრძელებს მზადებას სანკტ-პეტერბურგისთვის.

სავარაუდოა, რომ რამდენიმე წონით კატეგორიაში ქართველებმა ორ-ორი მოჭიდავე გამოიყვანონ, ევრო-გუნდურის დებულება ამის უფლებას იძლევა. ამჟამად გუნდს ბერდია გუგავა, სულიკო ფეიქრიშვილი და გურამ მოდებაძე ავარჯიშებენ. სამშაბათიდან კი ამ საქმეს გაუძღვება ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი, რომელიც ამჟამად პორტუგალიაშია.

# დაღესტნიდან ოქრო მოდის

მახაჩკალაში გაიმართა დაღესტანელი მოჭიდავის მაგომედ კაზამბიევის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში. საასპარეზოდ რამდენიმე ქვეყნის ფალავნები იყვნენ მიწვეულნი, მათ შორის ქართველებიც. ჩვენებურთაგან ექვსი ძიუდოისტი გაემგზავრა.

86 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ყველას აჯობა თელაველმა მამუკა ბოტკოველმა. მან ხუთი შეხვედრა მოიგო და ჩემპიონობა არავის დაანება. ბოტკოველმა ჯილდოდ ბაჯაღლო ოქროს მედალი და ათასი დოლარი დაიმსახურა.

კარგად იჭიდავა თელაველმა მძიმეწონოსანმა ლევან ჯაფარიძემაც. მან სამი შერკინება მოიგო, ერთხელ დამარცხდა და საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდა. დაღესტნელებმა არც მას დააკლეს ძვირფასი საჩუქრები.

სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული ლატარია „CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. მეცხრე ტური
5 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ზანქტ პაული — ფორტუნა დიუსელდორფი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| მიონხენგლადბახი — მიუნხენი | 1,25 | 3,3 | 6,5 |
| შალკე — კარლსრუე | 1,8 | 3,2 | 2,6 |
| არმინია — ვერდერი | 2,8 | 2,8 | 1,9 |
| ბაიერნი — ჰამბურგი | 1,15 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| დუისბურგი — კიოლნი | 2,3 | 2,5 | 2,3 |

### გერმანიის ჩემპიონატი. მეორე ბუნდესლიგა. მეცხრე ტური
5 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლიუბეკი — ჰერტა | 1,6 | 2,9 | 3,6 |
| კაიზერსლაუტერნი — გიუტერსლო | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| აინტრახტი — ურდინგენი | 1,6 | 3,0 | 3,4 |

6 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ცვიკაუ — ვოლფსბურგი | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| ოლდენბურგი — ლაიპციგი | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| უნტერჰახინგი — კიკერსი | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| მანჰაიმი — მაინცი | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| ფორტუნა კიოლნი — როტ ვაისი | 1,2 | 3,4 | 7,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. მე-11 ტური
5 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრედფორდი — საუთენდი | 1,3 | 3,1 | 6,0 |
| ჩარლტონი — ბარნსლი | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| კრისტალ პალასი — შეფილდ იუნაიტედი | 1,2 | 3,4 | 7,0 |
| გრიმსბი — ქუინზ პარკი | 3,0 | 2,8 | 1,8 |
| ჰადერსფილდი — ბირმინგემი | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| იფსვიჩი — სვინდონი | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| მანჩესტერ სიტი — ვესტ ბრომვიჩი | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| ოლდემი — პორტ ვეილი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| ოქსფორდი — ბოლტონი | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| ვულვერჰემპტონი — რედინგი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| სტოკ სიტი — ნორვიჩი | 1,6 | 2,9 | 3,6 |
| ტრანმერი — პორტსმუთი | 1,25 | 3,2 | 7,0 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. მე-11 ტური
5 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნანტი — ნიცა | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| მონაკო — რენი | 1,25 | 3,6 | 5,6 |
| სტრასბური — მარსელი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| პსჟ — ლე ავრი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| კაენი — ბორდო | 3,8 | 3,1 | 1,5 |
| ლანსი — მეცი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| ნანსი — ლილი | 2,0 | 2,6 | 2,6 |
| კანი — ოსერი | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| გინგამი — ლიონი | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| მონპელიე — ბასტია | 1,9 | 2,6 | 3,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. მეხუთე ტური
6 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრეშია — ჩეზენა | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| კიევო — დი სანგრო | 1,3 | 2,9 | 7,0 |
| ჯენოა — ბარი | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ლეჩე — ემპოლი | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| პადოვა — პალერმო | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| პესკარა — ფოჯა | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| რავენა — ლუკეზე | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| რეჯინა — ვენეცია | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| სალერნიტანა — კრემონეზე | 1,5 | 2,9 | 4,2 |
| ტორინო — კოზენცა | 1,2 | 3,3 | 8,0 |

### სხვადასხვა ქვეყნების ჩემპიონატები
5 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანკარაგიუჯუ — ფენერბაჰჩე | 7,0 | 3,4 | 1,2 |
| ვანსფორი — ტრაბზონსფორი | 7,0 | 4,0 | 1,15 |
| ანდერლეხტი — ლიერსი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| ანტვერპენი — გენტი | 1,6 | 2,9 | 3,6 |
| შარლერუა — ბრიუგე | 3,3 | 2,8 | 1,7 |
| მეხელენი — მოლენბეკი | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ლოკერენი — ეკერენი | 1,3 | 3,0 | 6,5 |

6 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეშიქთაში — გენჩლერბირლიგი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| ბურსასფორი — ქოჩაელისფორი | 1,4 | 3,0 | 5,0 |

### მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები
5 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოლდოვა — იტალია | 9,0 | 4,2 | 1,1 |
| 1:0 | 3,8 | 3,4 | 1,35 |
| ესტონეთი — ბელარუსი | 5,0 | 3,0 | 1,4 |
| ლატვია — შოტლანდია | 5,6 | 3,0 | 1,35 |
| უელსი — ჰოლანდია | 3,4 | 2,7 | 1,7 |
| ლიტვა — ისლანდია | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| უკრაინა — პორტუგალია | 3,0 | 2,6 | 1,9 |
| ჩრდ. ირლანდია — სომხეთი | 1,15 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |

6 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფინეთი — შვეიცარია | 2,8 | 2,6 | 2,0 |
| ფარერები — იუგოსლავია | 10,0 | 5,0 | 1,05 |
| 2:0 | 2,7 | 3,4 | 1,6 |

### გოლები

გერმანია. მეცხრე ტური: 25 და ნაკლები — 1,9; 27 და მეტი — 1,9.
საფრანგეთი. მე-11 ტური: 22 და ნაკლები — 1,9; 24 და მეტი — 1,9.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

**ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე**



# პირველი ქალი

**მედეა (მზია) ჯუღელი**

1952 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ცალკეულ იარაღებზე. მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული



**ქართული ტანვარჯიშის სკოლას არაერთი ღირსეული სახელი ამშვენებს: გულო რუხაძე, გალინა შარაბიძე, სერგო ჯაიანი, რუსუდან სიხარულიძე, ნინო დრონოვა, პაატა შამუგია, ლადო გოგოლაძე... მზია ჯუღელს კი ამათშიც გამორჩეული ადგილი უჭირავს. იგი პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალია და ერთადერთი ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმოხვეჭილი ტანმოვარჯიშე ქალებიდან, ვინაც შვიდჯერ (!) მოიგო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ოქროს მედალი ერთ ვარჯიშში (ბჯენით ხტომაში). მაგრამ ოლიმპიური ჩემპიონები ჩვენ უმაღლეს კვარცხლბეკზე მდგომი და დიდების შარავანდედით მოსილნი წარმოგვიდგენია. გზა იქამდე კი ხშირად არ არის ია-ვარდებით მოფენილი...**

## „ბუდიონას" რჩეული

„ყურჯაანში ვცხოვრობდით. მშობლები ქიმები მყავდა. ბავშვობიდან ახტაჯანა ვიყავი — ხან ცხენს შემოვახტებოდი, ხან ხეზე ავცოცდებოდი, არც ბიჭებთან ჩხუბში ვიხევდი უკან. მოკლედ, ერთ ადგილზე ვერ ვისვენებდი. ცურვაც მიყვარდა და სირბილიც. ამიტომაც დამადგა თვალი ფიზკულტურის მასწავლებელმა შალვა ბოსტაშვილმა, რომელსაც გრძელი, შავი ულვაშების გამო მეტსახელად „ბუდიონას" ეძახდნენ. ჩემი კბილა ბავშვებისგან მან ჯგუფი შეადგინა და ვარჯიშიც დაგვაწყებინა. მისმა და ჩვენმა მონდომებამ მალე გამოიღო ნაყოფი. ყურჯაანის გუნდმა საქართველოს მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა. ეს დიდი წარმატება იყო. სპეციალისტთა ყურადღებაც მივიქციეთ, მაგრამ ამ დროს ჩვენს ოჯახს უბედურება დაატყდა თავს — რეპრესიები მძვინვარებდა და ჩემი მშობლებიც დააპატიმრეს. დროებით „ბუდიონა" მასწავლებელმა შემიკედლა, შემდეგ თბილისში ჩამომიყვანა ბებიასთან. აქ ცნობილ პედაგოგთან და მრავალი სახელიანი ტანმოვარჯიშის აღმზრდელთან არჩილ ბაქრაძესთან მიმიყვანეს.

არჩილ ბაქრაძე ჩინებული პედაგოგი იყო. მეც მონდომებით განვაგრძობდი ვარჯიშს, თუმცა, რადგან „ხალხის მტრების" შვილი ვიყავი, ცხოვრებაში ხშირად მხვდებოდა გაუთვალისწინებელი წინაღობები. პირველად ეს 1939 წელს, საპირველმაისო დღესასწაულზე ვიგრძენი. კოლონას უნდა გავძღოლოდი ალმით, მაგრამ ამის უფლება ჩამომართვეს და ალამი სხვას გადასცეს...

პირველი საპასუხისმგებლო პირველობა მოსწავლეთა 1939 წლის საკავშირო ჩემპიონატი იყო, რომელიც მოსკოვში ჩატარდა. 13-14 წლის გოგონებში საპრიზო ადგილები დავიკავე ძელზე და ბჯენით ხტომებში. მომდევნო წელს ლენინგრადში უფრო კარგად გამოვედი — მრავალჭიდში მესამე ადგილი დავიკავე, ბჯენით ხტომები და ძელზე ვარჯიში კი მოვიგე".

## დედა ვნახე...

ერთი საინტერესო ეპიზოდი უნდა გავიხსენოთ. გაზეთმა „პრავდამ" დაბეჭდა მზია ჯუღელის ძელზე გამოსვლის ფოტოსურათი, რომელმაც კარგი სამსახური გაუწია ტანმოვარჯიშეს. ლენინგრადიდან მოსკოვს დაბრუნებულმა არჩილ ბაქრაძეს სთხოვა, ჩემს მშობლების ასავალ-დასავალი გავიგოთო. იმ შენობას მიადგნენ, სადაც ამის გაგება შეიძლებოდა, მაგრამ იქ არავინ უშვებდათ. და აი, ერთ-ერთმა მოხელემ მზია „პრავდაში" დაბეჭდილი სურათით იცნო და გაატარა. იქ შეიტყო, რომ მამამისი დაეხვრიტათ, დედა კი ვოლოგდის ოლქში სოფელ შექსნაში გადაესახლებინათ. ასე მიაგნო დედის კვალს.

„1945 წელს მოსკოვში, „დინამოს" საკავშირო პირველობაზე გავიმარჯვე. დაჯილდოების შემდეგ მკითხეს, ხომ არაფერს ითხოვთო. დედაჩემია გადასახლებული, კარგა დიდი ხანია არ მინახავს და თუ მანახვებთმეთქი. რატომაც არაო, და მატარებელში მიკრეს თავი. ასე მოულოდნელად აღმოვჩნდი ვოლოგდაში, პატიმართა ბანაკში და დიდი ხნის უნახავი დედა ვნახე".

## განცხადება კრემლში

როგორი სიხარული დაისადგურებდა იქ, ვოლოგდაში, ალბათ ადვილი წარმოსადგენია. თუმცა, ყველაფერი ასე ადვილად არ მოგვარებულა. მალე მზია ჯუღელი მოხვდა საბჭოთა კავშირის ნაკრებში, რომელიც უნგრეთში მიემგზავრებოდა შეჯიბრზე. როგორც ნაკრების სხვა წევრები, ისიც გულმოდგინედ ემზადებოდა, მაგრამ ბოლო მომენტში სიიდან ამოშალეს, როგორც „ხალხის მტრის" შვილი. თქმით კი ის უთხრეს, შენი გასამგზავრებელი საბუთების გაფორმება ვერ მოვასწარითო. იგივე განმეორდა 1950 წელს, როდესაც გუნდი მსოფლიოს ახალგაზრდობის ფესტივალზე მიდიოდა.

„ეს იგი, რა გამოდიოდა, ნაკრების წევრი ვიყავი, უცხოეთში კი არ მიშვებდნენ. მოთმინების ფიალა ამევსო და კრემლში მივიტანე განცხადება — ან შეჯიბრებებზე გამოსვლის ნება დამრთეთ, ან ტანვარჯიშს თავს ვანებებ-მეთქი. მალე დეპეშა მივიღე, სასწრაფოდ ჩამოდიო, მატყობინებდნენ. ასე აღმოვჩნდი ბერლინში, სადაც ორი ოქრო და ერთი ვერცხლი მოვიპოვე. ეს წარმატება სტუდენტთა მსოფლიო თამაშებზეც გავიმეორე და ამის შემდეგ უკვე სისტემატურად ვმონაწილეობდი საერთაშორისო შეჯიბრებებში".

## ჰელსინკი, ოლიმპიადა

საერთაშორისო შეჯიბრიც არის და შეჯიბრიც. მზია ჯუღელს პატივი ერგო ყოფილიყო იმ ქართველთა შორის, რომლებმაც უდიდეს სპორტულ ღონისძიებაში - ოლიმპიურ თამაშებში მიიღეს მონაწილეობა — მას არა მარტო მონაწილეობის პატივი, არამედ საქართველოდან წარგზავნილთაგან პირველი ოლიმპიური ჩემპიონობის ბედნიერებაც ხვდა წილად დავით ციმაკურიძესთან და რაფაელ ჩიმიშკიანთან ერთად (არსენ მეკოკიშვილი ჰელსინკის ოლიმპიადაზე მოსკოველთა ღირსებას იცავდა საბჭოთა ნაკრებში).

„ძალზე ვნერვიულობდით, რადგან ის თამაშები ყოველი ჩვენგანისთვის პირველი იყო. იმიტომაც ვღელავდით, რომ საბჭოთა პროპაგანდის გავლენით, არ ვიცოდით, როგორი დამოკიდებულება იქნებოდა ჩვენსა და კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენლებს შორის. მათაც ისე ეგონათ, რომ კარჩაკეტილ და საიდუმლო ატმოსფეროში უნდა გვევარჯიშა. მაგრამ დარბაზის კარი, სადაც ჩვენ ვვარჯიშობდით, ყოველთვის ღია იყო და ჩვენსა და მაყურებლებს შორის თავიდანვე გაიდო ნდობის ხიდი. საბჭოთა ნაკრებმა ტრიუმფით დაამთავრა ოლიმპიადა და მას შემდეგ ყველა შეჯიბრის ფავორიტი იყო".

მზია ჯუღელის სპორტული მოღვაწეობა იმ დროს დაემთხვა, როდესაც სხეულის სილამაზის კულტი იყო გამეფებული და სპორტს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, გახდებოდი თუ არა დიდი სპორტსმენი, ყველა იყო გატაცებული სპორტის ერთი სახეობით მაინც.

„ტანვარჯიშის გარდა, ვცურავდი, ზამთრობით თხილამურებითაც ვსრიალებდი. წყალში ხტომაშიც დავიკავე მე-2 ადგილი შეჯიბრებაზე. დავრბოდი და ჩვენს სახელგანთქმულ ლენა გოკიელთან ერთადაც გამოვსულვარ. ერთხელ მოთხილამურეთა შეჯიბრებაშიც მივიღე მონაწილეობა. თანაც, მარტო სპორტულ მიღწევებზე კი არ ვფიქრობდით. არჩილ ბაქრაძეს ხშირად დავყავდით ბუნებაში, იქ ვვარჯიშობდით, ვსაუბრობდით, ღამეს ვათევდით. ერთად გატარებული დღეები ერთმანეთთან გვამეგობრებდა და პიროვნულ თვისებებსაც გვიყალიბებდა!"

## ის ლამაზი ტანვარჯიში

კარგა ხანს ქალთა ტანვარჯიში ძალზე ლამაზი სანახაობა იყო და ტერმინი „ტანმოვარჯიშე ქალი" ლამაზი ქალის სინონიმად აღიქმებოდა. არაერთხელ შეუმკიათ ქათინაურებით მზია ჯუღელიც. მისი თაობის შემდეგაც კარგა ხანს ასე იყო. რუსუდან სიხარულიძე, ელვირა საადი, ნინო დრონოვა და სხვები, ალბათ, უკანასკნელ ასეთ თაობას წარმოადგენდენ. შემდეგ ქალთა ტანვარჯიშში, ქალური სინატიფის მაგივრად, ტრიუკების ეფექტურობამ იმძლავრა.

„ეს ტანვარჯიშში ოლგა კორბუტის გამოჩენის მერე მოხდა. კორბუტის შემდეგ აქცენტი სირთულეზე გადავიდა. 1974 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის წინ, ფიჟ-ის კონგრესზე, ტანვარჯიშის ასეთი გზით განვითარებას ბევრი მოწინაღმდეგე გამოუჩნდა, მაგრამ მხოლოდ კულისებში, ხმამაღლა საწინააღმდეგოს თქმა კი ვერავინ გაბედა. ამ სირთულით გატაცების შედეგია, რომ მსოფლიო ჩემპიონი ელენა მუხინა დღესაც ლოგინადაა ჩავარდნილი. მე, რა თქმა უნდა, იმ, ლამაზი ტანვარჯიშის მომხრე ვარ. იმ ვარჯიშებში თითოეული სპორტსმენის ხასიათიც ვლინდებოდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ეროვნულობაც. ბერლინის შეჯიბრებაზე ჩემი გამოსვლის შემდეგ გაზეთები წერდნენ, მზია ჯუღელის ვარჯიშში ქართული ხიბლი იყოო, მაგრამ რას იზამ, ტანვარჯიშიც ვითარდება და ჩვიდმეტი წლის გოგონა ახლა უკვე ვეტერანად ითვლება, მაშინ, როცა ჩვენს დროს ზრდასრული ქალები და ქალიშვილები ასპარეზობდნენ. ეს კი ბევრად უფრო ლამაზი სანახაობა იყო".

## ხასიათი

დიდი სპორტსმენად გახდომას მარტო ნიჭი არ ჰყოფნის. ბევრია დამოკიდებული სპორტსმენის ხასიათზე. მზია ჯუღელს კი ყოველთვის ჰქონდა მტკიცე ხასიათი, უშრეტი ენერგია, რაც ყველა სირთულეს აძლევინებდა.

„არასოდეს მიფიქრია, აუცილებლად პირველი ვყოფილიყავი. თუმცა, რაც მეტი მაყურებელი იყო, მით უფრო მიორმაგდებოდა ენერგია. 1954 წელს ავსტრიაში, ქალაქ გრაცში ვარჯიშისას ფეხი მომარტყეს ხელში. თითის პირველი ფალანგის მოტეხილობა მქონდა. ექიმებმა თითი თაბაშირში ჩამისვეს. საკავშირო პირველობამდე კი, რომელიც სვერდლოვსკში უნდა გამართულიყო, ხუთი დღელა იყო დარჩენილი. სვერდლოვსკში ჩავედი და, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც გამოვედი შეჯიბრებაზე. სახელმწიფო მწვრთნელმა ჭილაიამ განცხადებაც დამაწერინა, რომ მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებდი. ბჯენით ხტომებში 9,9 და 10 ქულა მივიღე და პირველი ადგილი დავიკავე, რგოლებზე მეორე ვიყავი. ადრე რგოლებზე ქალებიც გამოდიოდნენ. ეს ვარჯიშიც იშვიათი სილამაზით გამოირჩეოდა. ქანებით ვვარჯიშობდით. სხვათა შორის, ღერძზეც გამოვდიოდით. ეს სახეობები ახლა აღარაა ქალთა ტანვარჯიშის პროგრამაში".

მზია ჯუღელი არამარტო სპორტში ავლენდა შეუპოვარ ხასიათს. ერთი ძალზე საინტერესო მოგონება:

ინდოეთში მდინარეზე ქოქოსის გადამტვრეული ხე იყო გადებული. მასპინძლებმა გვითხრეს, ვინც ამ ხეზე გადავა, დავასაჩუქრებთო. დაბლა მდინარე კი ნიანგებით იყო სავსე. ვერავინ გაბედა გადასვლა. მე ვიყოჩაღე და ქოქოსის ნაყოფიც გადმოვიტანე. მასპინძლებმა სპილოს ძვლის მძივით დამასაჩუქრეს, ორმოცი პატარა სპილოს ფიგურა იყო გამოკვეთილი."

## მანდ სინათლე არის?

მზია ჯუღელს არც შემდეგ მიუტოვებია სპორტი. იგი იყო საბჭოთა კავშირის უფროსი მწვრთნელი საქართველოში, საქართველოს სპორტკომიტეტის პრეზიდიუმისა და, შემდგომ, კოლეგიის წევრი. უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლას იგი გახსნისთანავე ჩაუდგა სათავეში და ოცი წელი ხელმძღვანელობდა. ამ სკოლაში ბევრი გამოჩენილი სპორტსმენი აღიზარდა, მათ შორის ოლიმპიური, მსოფლიოს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები პაატა შამუგია, რუსუდან სიხარულიძე, ლადო გოგოლაძე, დონარა ჯანუყაშვილი, მალხაზ თათარაძე, აგრეთვე მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატები ირინა გაბაშვილი და [illegible]. 1991 წლიდან ქალბატონი მზია საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია.

„ახლა ბევრი მსჯელობს ატლანტაში ჩვენს წარუმატებელ გამოსვლაზე, მაგრამ ცუდი ისაა, რომ არ ითვალისწინებენ, რა პირობებში გვიხდება ცხოვრება და საქმიანობა. ჩვენგან ატლანტაში ორი ოლიმპიელი იყო — სპორტული ტანვარჯიშიდან ილია გიორგაძე და მხატვრულიდან — ეკა აბრამია. სპორტდეპარტამენტმა მათ სტიპენდიები დაუნიშნა, საერთაშორისო ტურნირებშიც მიაღებინა მონაწილეობა. ჩემი აზრით, ისინი დამაკმაყოფილებლად გამოვიდნენ. ახალი ოლიმპიადისთვის კი აქედანვეა საჭირო მზადება. სპორტდეპარტამენტმა სავარჯიშო ხალიჩაც შეგვიძინა და თავისი დარბაზიც დაგვითმო სავარჯიშოდ, რადგან ჩვენთან, ტანვარჯიშის სკოლაში, ზამთარში ძალზე ძნელია ვარჯიში — ცივა...

გვყავს პერსპექტიული სპორტსმენებიც (მხატვრულ ტანვარჯიშს ვგულისხმობ): ინგა თავდიშვილი, ინგა კერესელიძე (მწვრთნელი ბელა კობალაძე), ნინო გედევანიშვილი აი, ამ გოგონების იმედი გვაქვს, რა თქმა უნდა, ეკა აბრამიასთან ერთად. ვფიქრობ, მომავალ ოლიმპიადას უფრო მომზადებული შევხვდებით".

ოლიმპიადა რომ გამორჩეული მოვლენაა სპორტულ და არამარტო სპორტულ ცხოვრებაში, და რომ ოლიმპიადაში გამარჯვებულებს უღრეს პატივს სცემენ, მზია ჯუღელი კიდევ ერთხელ დარწმუნდა.

„24 ივნისს ატლანტაში გაიხსნა ოლიმპიურ ჩემპიონ ქალთა მუზეუმი, სადაც პერსონალურად ვიყავი მიწვეული, მაგრამ მოწვევა თბილისში მხოლოდ 5 ივლისს ჩამოვიდა და მუზეუმის გახსნას ვერ ჩავუსწარი. მუზეუმი ოლიმპიადის დღეებში ვნახე, იგი მხოლოდ 5 საათამდე იყო ღია, მე კი ექვსის თხუთმეტ წუთზე მივედი, მაგრამ, რომ ვუთხარი, ვინც ვიყავი, შესვლაზე უარი არ მითხრეს. მუზეუმში ყველა ოლიმპიადის ამსახველი სურათები იყო გამოფენილი. 1952 წლის ოლიმპიადის კედელთან ჩემი სურათიც ვნახე, ჰელსინკის ოლიმპიადაზე, ძელზე ვარჯიშისას რომ არის გადაღებული, ოლიმპიური ჩემპიონების, ბადრი მტყორცნელ რომაშკოვასა და [illegible] ყორცნელ გალინა ზიბინას გვერდით მოეთავსებინათ. მასპინძლებმა ამ კუთხესთან სურათიც გადამიღეს. შემდეგ ატლანტის კლუბების ასოციაციამ მიმიწვია. ეკრანთან გამომიძახეს, სადაც სხვადასხვა ოლიმპიადის ამსახველ კადრებს უჩვენებდნენ, და ტაშით შემეგებნენ. ავტოგრაფებსაც კარგა ხანს ვარიგებდი. მოკლედ, ძალზე სასიამოვნოა, რომ სპორტში ჩემი კვალი არ დაკარგულა და ოლიმპიური ჩემპიონები კვლავაც პატივში არიან".

ჩვენი მონათხრობი სრული არ იქნება, თუ მზია ჯუღელის ოჯახზეც არ ვიტყვით ორიოდ სიტყვას.

„მყავს ქალიშვილი, ირინა არხანგელსკაია, იგი ირაკლი ჯიფარიძესთან ერთად საქართველოს პირველი ჩემპიონი იყო ფიგურულ სრიალში. ისინი საკავშირო ასპარეზზეც წარმატებით გამოდიოდნენ. ირინა შემდგომში ექიმი-კარდიოლოგი გახდა. ახლა ლონდონშია მეუღლესთან ერთად. მისი მეუღლე თეიმურაზ მამაცაშვილი საქართველოს ელჩია დიდ ბრიტანეთში. მათთან არის ჩემი უმცროსი შვილიშვილი ნათია, რომელიც იქ კოლეჯში სწავლობს. უფროსი, თამრიკო კი პროფესიით ბიოლოგია. ჰყავს სამნახევარი წლის ტყუპი ქალ-ვაჟი თემური და თეონა. სწორედ ისინი მაძლევენ ცხოვრების სტიმულს. ისეთ რამეს გეტყვით, გაგეცინებათ: როდესაც უცხოეთიდან ვურეკავ, პირველი, რასაც შვილიშვილები მეკითხებიან, ესაა: მანდ სინათლე არის?"

მზია ჯუღელს ცხოვრების ხალისი არასოდეს აკლდა. ახლაც, როგორც კი დროს გამოძებნის, კვლავ იცლის თავისი გატაცებებისთვის — ზაფხულში ცურავს, ზამთარში თხილამურებზეა და ირგვლივ მუდამ სიცოცხლისა და სილამაზის ზეიმის ატმოსფეროს ამკვიდრებს. ამ ატმოსფეროში ჯანსაღი და ლაღი თაობა უნდა აღიზარდოს.

**კოტე მგალობლიშვილი**

ახლახან სახელოვანი სპორტსმენი და ამაგდარი აღმზრდელი მზია ჯუღელი პრეზიდენტის ბრძანებულებით „ღირსების ორდენით" დაჯილდოვდა. ვულოცავთ ქალბატონ მზიას ამ დიდ ჯილდოს!

დღეს, საღამოს 5 საათზე, ვაკეში დიდი რაგბია: თამაშობენ ჩემპიონატის ლიდერი „გუმარი“ და მესამე ადგილზე მყოფი „ქორები“. „სარბიელის სინი“ „გუმარს“ უპყრია. საფიქრებელია, რომ „ქორები“ მფლობელს ამ გარდამავალ ჯილდოს შეეცილებიან.



იქეთა კვირას, 20 ოქტომბერს, ეროვნულ სტადიონზე უფრო დიდი რაგბი გაიმართება: საქართველოს ნაკრები უმასპინძლებს რუსეთისას.

ჩვენს შინაურ ასპარეზზე შესვენება 10 ოქტომბრის ტურის შემდეგ გამოცხადდება, ნაკრები კი მეორე დღიდანვე თბილისში შეუდგება საწვრთნელ შეკრებას. ქართველ „ბორჯღალოსნებს“ შემართება არ აკლიათ და ჩრდილოელი მეზობლის ძლევას სერიოზულად ფიქრობენ.

რაგბის კავშირი მატჩის წარმოსაჩინებლად ბევრს მუშაობს. მის ოფისს პრესცენტრის ხელმძღვანელად მავანი გოგონაც კი დაუქირავებია. ისიც ვარჯიშებზე აკითხავს ნაკრების წევრებს, ინტერვიუებს ართმევს და სხვადასხვა საზოგადო გაზეთს ურიგებს. უეჭველია, ამგვარი პრომოცია (promotion) ქართული სინამდვილის საგულისხმო სიახლეა.

როგორც წინა მიმოხილვაში შევნიშნეთ, ზურაბ რეხვიაშვილის ჩირ-ლიდერთა ანსამბლიც იჭერს თადარიგს და მაყურებელს სპორტის სასახლის გოგონათა როკვაზე უკეთეს სანახაობას უმზადებს. საამისოდ რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ ზაზა ქასაშვილს იტალიიდან თურმე საგანგებო ფაფახებიც ჩამოაქვს. ესენი გოგონებმა ხელში უნდა დაიჭირონ და აფრიალონ.

რაგბის კავშირი თურმე მოლაპარაკებას აწარმოებს მავან ცნობილ რადიო-სადგურთანაც, რათა ამან საკვირაო პროგრამა ეროვნული სტადიონის რადიო-ქსელში ჩართოს და ხალხი შეაქციოს. მოსალოდნელია სტადიონზე სასულე ორკესტრის მიყვანაც, მაგრამ შესაფერი რეპერტუარი თურმე ძნელი შესადგენია. სავარაუდოა ისიც, რომ საქართველოს ჰიმნს ან რაიმე სხვა გასამხნევებელ სიმღერას შეასრულებს ცნობილი მომღერალი. რაკი ამ საკითხების გამო შეთანხმება ჯერაც არაა

# რუსი ჩვენ რას დაგვაკლებს!

მიღწეული, რაგბის კავშირის გენერალური მდივნის, ბატონ გია კუბლაშვილის თხოვნით კონკრეტული სახელ-გვარების გამხელისაგან ამჯერად თავი შევიკავეთ.

კავშირი პრინციპულად მორიგებია ტელევიზიასაც, რათა პირველმა არხმა მატჩის პირდაპირი ტელე-რეპორტაჟი მოაწყოს. მორაგბეები სტადიონზე ქვეყნის პრეზიდენტის მიბრძანებას ელიან და მისი ქომაგობის დიდი იმედიცა აქვთ.

ემზადებიან რუსებიც. მათი მეორე მწვრთნელი ბალაშოვი კინო-ოპერატორითურთ ბრძანებულა პრაღაში და საქართველო — ჩეხეთის მატჩი გადაუღია. ეს ბალაშოვი იმავდროულად პენზის გუნდსაც წვრთნის და ამდენად ჩვენი „ბეირუთ“ იურინის, გია ლაბაძისა და სოსო ჭელიძის დამრიგებელიცაა. პრაღაში მისი ვიზიტის მიზანი სხვა „ბორჯღალოსანთა“ სელექცია და პენზას ნატაცებაც ყოფილა.

რუსული რაგბის შესახებ ჩვენში მხოლოდ და მხოლოდ პენზელი ქართველების მონაყოლის მიხედვით მსჯელობენ. ეს პენზის კლუბი მართლაც რომ ძლიერი რამაა, იურინი კი მისი ლიდერია. პენზელებს რუსეთის პირველობის ბოლო ტურში სტუმრად, მონინოში, 17:12 დაუმარცხებიათ იქაური სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი და ვერცხლის მედლები დაუბევებიათ.

სამშაბათის „სპორტ-ექსპრესის“ მონაცემებით რუსეთის სუპერ-ლიგაში ასეთი მდგომარეობაა:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრასნი იარ | 18 | 15 | 1 | 2 | 425:220 | 31 |
| რპ პენზა | 18 | 13 | 1 | 4 | 476:198 | 27 |
| სსა „ვე-ვე-ა“ | 19 | 11 | 0 | 8 | 378:298 | 22 |
| სიბ-წიაუ-მაშ (კრ) | 18 | 8 | 1 | 9 | 368:278 | 17 |
| ემპილს (როსტოვ) | 18 | 6 | 1 | 11 | 361:380 | 13 |
| სპა პვო (პეტერბ) | 19 | 0 | 0 | 19 | 156:790 | 0 |

გასამართი ხუთი თამაშილაა. მათგან მთავარია პენზის სტუმრობა კრასნოიარსკში, სადაც „ჩვენები“ ორივე იქაურ გუნდს უნდა შეეჯიბრონ. ცხრილიდან ცხადია, რომ სტუმრებს ჩემპიონობის თეორიული შანსიღა დარჩენიათ.

რაგბის ძველ მოყვარულებს უთუოდ თვალში ეცემათ ის უცნაურობა, რომ ამოტოლა ქვეყნის პირველობაზე დედაქალაქს ერთი გუნდიც აღარა ჰყავს. ნეტავ სად არიან მოსკოვის „ფილი“, „სლავა“, „ლოკომოტივი“, „სპარტაკი“ ანაც საავიაციო ინსტიტუტი (მაი)? დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ შარშანდელს კი მოგახსენებთ: მაშინდელი პირველი ლიგა თამაშობდა ... შვიდკაცას, მის გამარჯვებულს კი დიდ რაგბში გადასვლა შეეძლო. ამას, თუ არა ვცდებით, მსოფლიო რაგბში ანალოგი ვერ დაეძებნება.

ჩვენებს რუსებისა არ ეშინიათ. ისე კი, მოგეხსენებათ, სიფრთხილეს თავი არა სტკივა და ქართველებიც ჭორებს გულმოდგინედ აგროვებენ. ერთი ვერსიით, რუსებმა შეიძლება გამოგვიყვანონ 35 წლის იგორ მირონოვი, რომელიც თურმე დღესაც ყველას სჯობს და ხანდახან თამაშობს სსა-ში. ხომ არ დაგვეპირისპირებინა მისთვის ბევრად უფრო ნორჩი ნუგზარ ძაგნიძე? მეორე ვერსიით, რუსებს საფრანგეთიდან უწესოდ სურთ ყაზახი ვამბაევისა თუ ულანბაევის ჩამოყვანაც. ჩვენები საამისოდ პროტესტს ამზადებენ და რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) სათანადო დებულებებს იზუთხავენ.

საქართველოსა და რუსეთის მატჩი მსოფლიო თასის საკლასიფიკაციო, მაგრამ არა შესარჩევი შეხვედრაა. ორივე გუნდი თავისუფალია პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან, რომელიც, როგორც ვწერდით, შაბათს დაიწყო რიგაში, სადაც ლატვიამ 44:6 დაამარცხა მსოფლიო თასის ახალბედა ნორვეგია.

მატჩი ლატვიის დედაქალაქის უნივერსიტეტის სტადიონზე გამართულა და ოდენ 200 მაყურებელი დასწრებია, ტელევიზიას კი მისთვის სულ რაღაც 30 წამი დაუთმია. სამაგიეროდ, ლონდონის „თაიმსს“ იქ საგანგებოდ მიუვლენია რეპორტერი.

მისი ცნობით, მონაწილეებს დაუცავთ წმიდათაწმიდა ტრადიცია და ნამატჩევს გვარიანად გამობრუჟულან ლუდით. ნორვეგიელების მთელი სამზადისი რიგაშივე წინადღით გამართული ერთსაათიანი ვარჯიში ყოფილა. მათ გუნდში უთამაშია რვა ნორვეგიელს, ორ ინგლისელს, თითო ფრანგს, უელსელს, ავსტრალიელს, ზელანდიელსა და ჰოლანდიელს. კაპიტანი ავსტრალიელი ყოფილა, ვისაც თამაშის წინ ასე მიუმართავს ხელდახელ შეკრებილი გუნდისთვის: თავი დავდოთ, ბიჭებო, ყოველ დღე ხომ არ გვიწევს მსოფლიო თასზე თამაშიო.

ნორვეგიას სულ ოთხი კლუბი ჰყოლია, ლატვიას — ერთით მეტი. ოთხი მათგანი იელგავის რაფ-ის დაშლით წარმოქმნილა. ერთსა რქმევია „რიგას მიესნიექს“, ე. ი. რიგელი ყასბები, რაკი მავანი ბრიტანელი სპონსორობს და ყოველთვიურად 750 გირვანქით შეეწევა ხოლმე.

ნორვეგიასთან შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე „ყასბებისა“ და უპირატესად რუსებით დაკომპლექტებულ „ლატგალეს“



ბებერ ქემფიზის პატივს სულ აღარა სცემენ! აგერ, პოლიციის ზემდეგსაც კი სიდნეის საბურთაო სტადიონის ტრიბუნიდან სათადარიგოთა სკამზე გაუძევებია, ბილეთი თუ არა გაქვს, მაყურებლებში რაღად ზიხარო

ლიანგური მუშტი-კრივი გაუმართავთ. მატჩი ჩაშლილა. მერე მოქიშპე ეთნიკური ჯგუფების შვილები შერიგებულან და ნორვეგიასთან მწვრთნელ ულდის ბაუტრისს რვა ლატვიელი და შვიდი რუსი უთამაშებია. ისე კი, გასარკვევია, დემიანს ზავადსკისი ანაც ვილმარს სოკოლოვსი რუსებად ითვლებიან თუ ლატვიელებად.

რიგისა და 20 ოქტომბრის მატჩზეც ბევრად დიდი რაგბი მალე გაჩაღდება ევროპაში. აქ არა ვგულისხმობთ ევროპის მეორე საკლუბო თასს, იქეთა შაბათს რომ გაჩაღდება. ლაპარაკია ავსტრალიის „ვოლაბების“ ექსკვირიან, 13-მატჩა ტურნეზე, 15 ოქტომბერს იტალიაში რომ იწყება და ოთხივე ბრიტანულ ქვეყანას მოიცავს.

ავსტრალიელთა შინაური სეზონი დღეს მთავრდება სიდნეისა და ბრისბენის პრემიერშიფების ფინალებით, სატურნეო, 30-კაციანი გუნდი კი მწვრთნელმა გრეგ სმითმა ამ ათი დღის წინ გამოაქვეყნა. მასში ხუთი ახალბედაა — ხუთივე მორკინალი. გამოუცდელი მოთამაშეც საკმაოდაა. ვისაც ვეტერანი ეთქმის, იმას საერთაშორისო საზომით კეპთა საკმაოდ მოკრძალებული რაოდენობა აქვს მოხვეჭილი.

ასე მაგალითად, მეორეხაზელ კაპიტან ჯონ ილზს ნაკრებში მხოლოდ 38-ჯერ უთამაშია, ფლანგ დევიდ ვილსონს — 34-ჯერ, მეორეხაზელ გერიქ მორგანს — 22-ჯერ. უკანა ხაზში შუამარბ თიმ ჰორანს 43 კეპი აქვს, მის მეწყვილე ჯეისონ ლითლს — 38, მსოფლიოს უძლიერეს 15 ნომრად შერაცხულ მეთიუ ბერქს — 18.

სამაგიეროდ, 99 კეპის პატრონია უბერებელი, 33 წლის გარემარბი დევიდ ქემფიზი. მას მსოფლიოში ყველაზე მეტი — 64 ლელო გაუტანია ტესტებში, საიუბილეო — მე-100 კეპის მოხვეჭას კი 23 ოქტომბერს იტალიასთან თამაშში აპირებს. ეს ტესტი პადუაში გაიმართება.

ტურნე ჯერ არ [illegible] ... ინგლისთან ... „ბარბაროსებთან“ თამაშით დაესრულებინათ. მერე უელსი შეეხმიანა ავსტრალიას და თავის ნაკრებთან შეხვედრაც შესთავაზა. სამხრეთელები ამას იოლად დაყაბულდნენ და თავის მხრივ ინგლისსაც სთხოვეს, 7 დეკემბერს „ბარბაროსების“ ნაცვლად იქნებ ნაკრები შეგვახვედროთო.

საქმე ისაა, რომ ძველ დროში სამხრეთის გუნდი ბრიტანეთს რომ ჩავიდოდა, ოთხივე ქვეყანაში გამართავდა ტესტს. ბოლოებს ამგვარი პატივი „ვოლაბებსა“ ხვდათ წილად — 1984 წელს. მათაც „დიდი სლემი“ გაახერხეს: ოთხივე თამაში მოიგეს.

მას აქეთ ირბ-მა ამგვარი ტურნეები აკრძალა, აქაოდა მოყვარული მორაგბეები მეტისმეტად არ დაგვეტვირთონო, მაგრამ რაც თამაში გაპროფესიულდა, ალღოიანმა რაგბის მამებმა ტრადიციის აღდგენა სცადეს.

და მაინც, ავსტრალიას ინგლისი ჯერაც ვერ დაუყაბულებია. ესენი იმიზეზებენ, „ბარბაროსებისა“ და „ვოლაბთა“ თამაშის 30 ათასი ბილეთი უკვე გაიყიდა და ხალხს, აბა, ხომ არ მოვატყუებთო. თვიქნემელი მამები სიდნეელ კოლეგებს პროვინციულ ყაიდაზე, შუა კვირაში სთავაზობენ თამაშს, რის გამოც ავსტრალიელები თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ.

სხვაფრივ, ბრიტანელები საკმაო მოქნილობას ავლენენ. ერთი კვირის წინ ინგლისის რაგბის კავშირმა გააუქმა შეზღუდვა, რომლის თანახმად იმ მოთამაშეებს, სამხრეთი ნახევარსფეროს რაგბის კავშირებთან რომ ჰქონდათ კონტრაქტი გაფორმებული, ვიდრე ინგლისის პირველობაზე დართავდნენ თამაშის ნებას, ჯერ ბრიტანეთში ექვსი თვე უნდა ეცხოვრათ.

ამან ხელ-ფეხი გაუხსნა 24 ბობოლა კლუბს, კავშირს ბევრი საკითხის გამო რომ ემდურის. ამათ ახლა ორ-ორი სამხრეთელის ყოლის უფლება დაერთოთ. ჰოდა, ლონდონის „ჰარლიქვინზი“ ფრანგების — ბენეზეშისა და კაბანის გადაბირების კვალად ახლა ზელანდიელების — მაიქლ ჯოუნზისა და ზინზან ბრუქის ყიდვასაც აპირებს, რაკი ესენი მობეზრებულან და კავშირის კონტრაქტებიც გათავებიათ.

„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

## ავტორბოლა

# მენსელი სტიუარტის ეარშიყება



ხუთშაბათს ავტორბოლის სამყაროს თავი შეახსენა 42 წლის ბრიტანელმა ნაიჯელ მენსელმა, ვინაც ერთადერთია, ზედიზედ რომ მოუგია ჯერ ფორმულა-1-ის ჩემპიონატი, მერე კი — ინდიკარ-იც. ამ მრბოლმა განაცხადა, რომ სიბერის მიუხედავად გაისად აქტიურ სპორტს უბრუნდება.

ერთნი ვარაუდობენ, რომ მენსელი მიაშურებს ინდიკარს, სადაც მისი კბილანი კვლავაც წარმატებით ასპარეზობენ. მეორენი არც იმას გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, მენსელი ისევ ფორმულა-1-ში ვიხილოთ. საქმე ისაა, რომ ახალი გუნდის პატრონ ჯექი სტიუარტს ჯერაც არ გამოუცხადებია თავის პილოტთა ვინაობა, ის კი ბევრჯერ უთქვამს, რომ გუნდში მინიმუმ ერთი ბრიტანელის ყოლა სურს.

რაკი „უილიამსიდან“ დათხოვნილმა დეიმონ ჰილმა „ეროუზს“ მიაშურა, მენსელმა მომენტი დიდებულად შეარჩია და სტიუარტს წაეარშიყა, თუმც კი ინდიკარიდან ფორმულაში მისი დაბრუნება თავის დროზე მარცხიანი გამოვიდა: ნაიჯელს „მაკლარენმა“ ვერაფრით დაუმზადა მისი სარგო კოკ-პიტი, ამით გულგატეხილმა მრბოლმა კი ორი ეტაპის შემდეგ მიატოვა ჩემპიონატი.

ევროპის მძლეოსნობის ასოციაციამ წელს კონტინენტის საუკეთესო ათლეტებად ცნო რუსი მორბენალი სვეტლანა მასტერკოვა და ჩეხი შუბის მტყორცნელი იან ჟელეზნი.

## ჩოგბურთი

### დავენპორტს ამბიცია არ აკლია

ლაიფციგში, ქალთა 450 ათას დოლარიანი შეჯიბრის პირველ წრეში ფედერაციის თასის მოპოვებით გამხნევებული ამერიკელი გოგო ლინდზი დავენპორტი (5) ოთხშაბათს ძლივს მოერია ავსტრიელ ბარბარა შეტს 6:4, 7:5. ამერიკელი მეორე ხელს 2:5 აგებდა, მერე კი განაცხადა, აქ გამარჯვების გარდა მსოფლიოს პირველ ჩოგნად გახდომაც მწადიაო. იმავე დღეს ივა მაიოლიმ (ხორვატია, 3) 6:4, 6:2 აჯობა იტალიელ სილვია ფარინას, ხოლო ჰელენა სუკოვამ (ჩეხეთი) 7:6, 6:7 (0-7), 6:2 დაამარცხა კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი, 8).

ხუთშაბათს მეორე მატჩი გამართა შტეფი გრაფმა (გერმანია, 1) და თუმც პირველი ხელი 26 წუთში წააგო, ბოლოს მაინც დაამარცხა იუდით ვიზნერი (ავსტრია) 1:6, 6:3, 6:2. მანამდე შტეფის იუდითი 10-დან 10-ჯერვე დაემარცხებინა.

მოიგეს სხვებმაც: არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 2) — მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) 6:2, 6:1; დავენპორტი — ელს კალენსი (ბელგია) 7:6 (7-0), 6:1

### მუსტერს დაბადების დღე ჩაუშხამეს

ოთხშაბათს ავსტრიელი თომას მუსტერი 29 წლისა შესრულდა, მაგრამ ბრაზილიაში კორტიდან გაქცევის შემდგომი პირველივე თამაში წააგო ლიონის ჭერქვეშა პირველობაზე, რომლის საპრიზო ფონდიც 750 ათასი დოლარია.

მუსტერს 6:3, 6:3 სძლია ამერიკელმა ქრის ვუდრაფმა, მაგრამ ამან მეორე დღესვე 6:3, 6:7 (5-7), 5:7 წააგო ფრანგ ლიონელ რუსთან.

მუსტერმა თქვა, ჩემს დაბადების დღეს ჯერაც ვერ გამიმარჯვნიაო. მერე ბრაზილიის ინციდენტიც გაიხსენა და ბრძანა, საერთაშორისო ფედერაციამ (იტფ) მანამ უნდა მიიღოს ზომები, სანამ კორტზე ვინმე მოუკლავთო.

ფედერაციამ ავსტრიელი უკვე 8 ათასი დოლარით დააჯარიმა. მისმა გუნდმაც იჩივლა; ჰოდა, იტფ ორშაბათს, ლონდონში განიხილავს მათს აპელაციას.

ოთხშაბათსვე გავარდა გერმანელი მიხაელ შტიხი (8), ვისაც სამ ხელში აჯობა შვედმა მაგნუს გუსტაფსონმა. სხვა განთესილებმა გაიმარჯვეს: ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 2) — პეტრ კორდა (ჩეხეთი) 6:4, 6:3; მარსელო რიოსი (ჩილე, 4) — მიქაელ თილსტრომი (შვედეთი) 6:3, 6:1; თომას ენკვისტი (შვედეთი, 5) — ჯანლუკა პოცი (იტალია) 6:3, 6:3. ვეინ ფერერას (სამხ. აფრიკა, 3) მძლეველი მაროკოელი იუნეს ელაინავი დაამარცხა სლოვაკმა კაროლ კუჩერამ 7:5, 6:2.

### ჩანგმა შიში ჭამა

სინგაპურში მოასპარეზე მაიქლ ჩანგს (აშშ, 1) ორშაბათს სასტუმროს წინ კინაღამ დაჯახებია საშინელი სიჩქარით მქროლი ავტომობილი. ჩოგბურთელი ამ ამბავს არ შეუშინდა და ხუთშაბათს ვენესუელელი ნიკოლას პერერას 6:3, 6:1 ძლევით მეოთხედფინალში გავიდა.

იქვეა უიმბლდონის ჰოლანდიელი ჩემპიონი რიხარდ კრაიჩეკი (2). მან ჯერ 7:6 (7-3), 6:3 გააგდო ნიკოლა ბრუნო (იტალია), მერე კი ავსტრალიელი პატ რაფტერიც 6:4, 6:2. რაფტერის თანამემამულე მარკ ვუდფორდი (4) 6:2, 6:3 დაამარცხა გერმანელმა მარტინ ზინერმა.

### ქალებს უგანეს

ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებმა სახელი იმით გაითქვეს, რომ ქალებს გასამრჯელოს ვაჟების თანაბრად აძლევდნენ. ასე ყოფილა ბოლო ექვსი წლის მანძილზე.

შეჯიბრება მელბურნში გაისად 13-26 იანვარს გაიმართება. მისი საპრიზო ფონდი წლევანდელთან შედარებით 5 პროცენტით გაიზარდა, მაგრამ სქესთა თანასწორობა დაირღვა: თუ ვაჟი ჩემპიონი 585 ათას ავსტრალიურ დოლარს მიიღებს, გამარჯვებულ ქალს მასზე 20 ათასით ნაკლები ერგება.

პირველობის დირექტორმა პოლ მაკნამიმ ეს ეკონომიკური მოსაზრებებით ახსნა. მანვე გამოაცხადა, რომ ჩოგბურთის აზიაში გასავრცელებლად ორგანიზატორები ვაილდ-ქარდს გაუხერხებენ თითო აზიელ ვაჟსა და ქალს, ოღონდაც ესენი კლასიფიკაციის ზემო 200-ეულში უნდა იყვნენ და მათი თანამემამულენი მონაწილეთა სიაში არ ირიცხებოდნენ.

## ტოტალიზატორი

# ბუქმეიქერთა ასქოთური კატასტროფა



შაბათს, ესქოთის იპოდრომზე, ბრიტანული დოღის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ერთმა მხედარმა ერთი დღის მანძილზე მოიგო ყველა გარბენი, რომელშიც კი ჩაება. რჩეული აღმოჩნდა ცნობილი ჟოკეი, იტალიელი ფრანკი დეტორი, რომელიც ალბიონზე კარგა ხანია მოღვაწეობს.

დეტორის მიღწევამ ფიასკო გამოიწვია ბრიტანულ სანიძლაო ინდუსტრიაში. ამ დარგის წლიური შემოსავალი 155 მილიონი დოლარი ყოფილა, ფრანკის გადამკიდე კი ტოტალიზატორებმა ერთ დღეში მინიმუმ 46 მილიონი იზარალეს.

ორმა უბობოლესმა ტოტალიზატორმა — „ვილიამ ჰილმა“ და „ლედბროუქმა“ სათითაოდ 12,4 მილიონი დაკარგა, ბრუნვით მესამემ — „კორალმა“ 6,2 მილიონი მოისაკლისა, მეოთხემ — „სთენლი ლეჟამ“ კი 3,48 მილიონი წააგო.

როგორც ტოტალიზატორთა ასოციაციის თავკაცმა განაცხადა, ზარალი მეტი იქნებოდა, ჩვენს კანტორებს მაქსიმალური მოგება შეზღუდული რომ არ ჰქონოდათო. ყველაზე ლმობიერი ტოტალიზატორები თითო ფსონზე თურმე 775 ათას დოლარზე მეტს არ იძლევიან.

კატასტროფა გამოიწვია იმან, ერთობ ბევრმა მოთამაშემ ფსონი დეტორის შვიდმაგ გამარჯვებაზე გააკეთა. იტალიელის ცხენების გამარჯვების კოეფიციენტები ასეთი იყო: ვოლ სთრითი 2:1, დიფიდენთი 12:1, მარქ ოვ ესთიმი 100:30, დიქორეითიდ პიერო 7:1, ფეითფული 7:4, ლოპენჯელი 5:4, ფუძიამა ქრესთი 2:1. ვინც გარისკა, ეს კოეფიციენტები გადაუმრავლდა და ფსონიც იმდენჯერ გადიდებული დაიბრუნა.

ზოგმა ტოტალიზატორმა იხტიბარი მაინც არ გაიტეხა და განაცხადა, ახლა კი ირწმუნებს საზოგადოება, რომ ჩვენ ყოველთვის ვერ ვიმარჯვებათ და მოთამაშეებს სულაც არა ვფრცქვნითო, მაგრამ უფრო გულზიარებმა პირდაპირა თქვეს, ფრანკის გმირობა ჩვენთვის ნაღდი კატასტროფა იყოო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29